

გაზეთი ბეჭედი „ვესტის“ ერთი

ვესტი

ფასი 50 თეთრი



ორშაბათი

ოთხშაბათი

პარასკევი

№43 (1069) 22 - 23 აპრილი, 2015 წელი

ექსკლუზიური ინტერვიუ ბულგარეთის ელჩთან

პლავენ ბონეაჟი:
„საქართველოს
მოქალაქეებისთვის
უვიბო
რეჟიმი მადე
ამოქმედება“

გვ. 5



ინფრასტრუქტურის მინისტრი გადადგა

დავით შავდიაშვიდს
ნოდარ ჯავახიშვიდი
შეცვლის

გვ. 3



ოპოზიციის პოლიტიკური
ვნებანი და მასტერკლასი
გიჰინა ივანიშვილისგან

გვ. 6

ყოფილი პრემიერი
ნაციონალების ფარულ
აპოდოგეფებს ამხედს და
ოპოზიციურ პარტიებს
რჩევებს აძლევს

შს მინისტრი ბერბანის ელჩს შეხვდა



გვ. 2

ღიმიტრი ჯაიანი: „გე ახლას ოპოზიციის პარტი“



გვ. 4

ექსკლუზიური
ინტერვიუ აფხაზეთის
განათლებისა და
კულტურის მინისტრთან

თაღლითური სქემა, როგორც ბენარბეს პიჯარია წაართვეს

„დოკადინოს“ დამფუძნებელი გიორგი
რაუში ყოფილ პარტნიორს უჩივის

გვ. 7

ვინ მფარველობს ბეგი გედენიძეს,
რომედმაც სისხდიანი გარჩევა მოაწყოს

თიბისი ბანკი სასოფლო
სამეურნეო კოოპერატივებს
სასხვებით დააფინანსებს



თიბისი ბანკი
T B C B A N K

შეშველი შავკანიანი კანადელი ზონაზე

რაცომ დადგა ვამერების წინ
გაბეთიდი და რაცომ მოითხოვა
„უდო“-თი გამოშვება
გოდიათმა სამსონმა

გვ. 9



კანადის
ღიმიტრი



შს მინისტრი გერმანიის ელჩს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური საქართველოში გერმანიის ელჩს ორთხიან ჰენიგს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა ორ ქვეყანას შორის სამართალდამცავ სფეროში არსებული ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. მინისტრმა ხაზი გაუსვა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საქართველოს შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის მნიშვნელობას, რომლის საფუძველზეც გერმანიის ფედერაციულ სამართალდამცავ ორგანოსა და ცენტრალურ კრიმინალურ პოლიციას შორის თანამშრომლობა საგრძობად გააქტიურდა და ეფექტიანი გახდა. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ინტენსიური შეხვედრებისა და ინფორმაციის ურთიერთგაზიარების შედეგად არაერთი ორგანიზებული დანაშაულის საქმის გამოძიება განხორციელდა.

საუბარი ასევე შეეხო ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციას და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის გერმანიაში დაგეგმილ ვიზიტს. შეხვედრის დასასრულს, მხარეებმა ხაზი გაუსვეს ორი ქვეყნის სამართალდამცავ უწყებებს შორის გააქტიურებული თანამშრომლობის მნიშვნელობას დანაშაულის შემცირების კუთხით.

„პერსონალი“

ერაყიდან და სირიიდან ლტოლვილმა 1 200-მა აღამიანმა საქართველოში ლტოლვილის სტატუსზე უარი თქვა



დევნილთა მინისტრის, სოზარ სუბარის განცხადებით, როგორც სირიიდან, ისე ჩრდილოეთ ერაყიდან დევნილ მოქალაქეებთან დაკავშირებით, სახელმწიფოს პოლიტიკა მკაცრადაა განსაზღვრული. მისი განცხადებით, დაბრკოლების გარეშე უშვებენ საქართველოში ყველას, ვინც ამ ორი ქვეყნიდან საქართველოს საზღვარს მოადგება და თავშესაფარს ითხოვს: „არანაირ ვიზებს მნიშვნელობა არ აქვს. მათი საკითხის შესწავლა დაჩქარებული წესით — ერთი, ორი, სამი თვის განმავლობაში ხდება და დასაბუთების შემთხვევაში, ჰუმანიტარული ან ლტოლვილის სტატუსი ენიჭებათ. ბოლო 2 წლის განმავლობაში, ამ ორი ქვეყნიდან მომართვა 2 100-ზე მეტია, თუმცა უმრავლესობამ, დაახლოებით 1 200-მა აღამიანმა, სტატუსის მიღებაზე საბოლოოდ უარი თქვა, როდესაც გაარკვიეს, რომ სტატუსის მიღებით ევროპის, აშშ-სა და კანადისკენ გაზარდებოდათ, სადაც ნახვლა ურჩევნიათ. უმრავლესობამ საქართველო უკვე დატოვა, ზოგი დარჩა ქვეყანაში, ბევრის სტატუსი განიხილება“.

სოზარ სუბარის განმარტებით, სირიელ და ერაყელ ლტოლვილებს საქართველოში სტატუსის მიღებით სხვა ქვეყნებისკენ გაზარდების გამო ეკეტებოდათ, რომ გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ საქართველო უსაფრთხო ქვეყანად მიჩნეული და ჰუმანიტარული ან ლტოლვილის სტატუსის მიღების შემთხვევაში, პირი სხვა ქვეყანაში ვეღარ გადავა. მინისტრმა ისიც აღნიშნა, რომ პირველ ეტაპზე ლტოლვილების მიმართ მიდგომა მკაცრი იყო, თუმცა ბოლო ერთი წლის განმავლობაში, სტატუსი თითქმის ყველას ეძლევა: „საქართველოს ამ მხრივ ლიბერალური მიდგომა აქვს ისევე, როგორც უკრაინის შემთხვევაში. კანონით, საქართველოს სრული უფლება აქვს, უკრაინიდან ლტოლვილ არცერთ აღამიანს სტატუსი არ მისცეს, რადგან საკუთარი ქვეყნის შიგნით მათ თავისუფლად გადაადგილების საშუალება აქვთ. მიუხედავად ამისა, მივიღეთ გადაწყვეტილება და ყველა აღამიანს, ვინც საქართველოში აღმოსავლეთ უკრაინის რეგიონებიდან შემოდის, დაჩქარებული და გამარტივებული წესით ეძლევა სტატუსი“.

„პირველი“

პირველკლასელთა რეგისტრაცია 23 აპრილიდან დაიწყება

როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური განმარტავს, რეგისტრაცია, გასული წლების მსგავსად, წელსაც სამეტაპიანი იქნება. პირველ ეტაპზე იმ მოსწავლეების რეგისტრაცია მოხდება, რომელთა მშობლებიც სკოლებში მუშაობენ, რომელთა და-ძმა უკვე სწავლობს სკოლაში, თუ ისინი ტყუპები არიან. პირველკლასელთა რეგისტრაციის სრულ განრიგს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 22 აპრილს გამოაქვეყნებს.

„ინტერპრესნიუსი“



როვნაცია

თიბისი ბანკი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს სესხებით დააფინანსებს



თიბისი ბანკის აგროსესხები ხელმისაწვდომია სოფლის მეურნეობის ყველა დარგში შექმნილი კოოპერატივებისთვის — ეს არის მემცენარეობა, მეტეველეობა და მეცხოველეობა. იაფი აგროსესხის მინიმალური ზღვარი 20 000 ლარია. სესხის აღება შესაძლებელია როგორც საბრუნავი, ისე წარმოების ძირითადი საშუალებების დასაფინანსებლად. სახელმწიფო სუბსიდის პირობებში, სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი მომხმარებლისთვის საბრუნავ საშუალებებზე 6-7%-მდე, ხოლო ძირითადი საშუალებების დასაფინანსებლად 3-4%-მდე იქნება. კოოპერატივად დარეგისტრირება მაღალმთიან რეგიონებში მინიმუმ 3 სუბიექტს შეუძლია, ხოლო ბარში მინიმუმ 5 სუბიექტს.

„ვამაყობთ, ჩვენ პირველებმა შევქმენით კოოპერატივების დაფინანსების პრეცედენტი და ვფიქრობთ, ამ მიმართულებას საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია, ამიტომაც მზად ვართ ვითანამშრომლოთ კოოპერატივებთან და დავაფინანსოთ ისინი იაფი სახსრებით, რათა მათ შეძლონ კონკურენტუნარიანი და მაღალხარისხიანი პროდუქციის შექმნა“, — აცხადებს თიბისი ბანკის დირექტორის მოადგილე მიკროფინანსების მიმართულებით, ნიკაა ქურდიანი.

კოოპერატივებისთვის აგროსესხების პროექტი თიბისი ბანკმა „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთან“ თანამშრომლობის შედეგად შეიმუშავა. სააგენტო თიბისი ბანკს პარტნიორობას ინფორმაციის მოპოვებასა და გაცვლაში გაუწევს.

„კოოპერატივებისთვის შემუშავებული აგროსესხები სოფლის სოციალური და ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანი წამოწყებაა, რომელიც ვფიქრობ, წარმოების რენტაბელობას აამაღლებს და სოფლის მეურნეობის წარმოებას უფრო პროდუქტიულს გახდის“, — აცხადებს „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე ბიორბი მიშაიძე“.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სტატუსის მოპოვების პროცედურების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“ ვებგვერდზე: <http://acda.gov.ge/res/docs/201402191757477850.pdf>.

რეგისტრირებულმა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებმა სესხის ასაღებად უნდა მიმართონ თიბისი ბანკის ნებისმიერ ახლომდებარე ფილიალს საქართველოს მასშტაბით. თიბისი ბანკმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში — სამცხე-ჯავახეთში, კახეთსა და აჭარაში უკვე დააფინანსა 3 კოოპერატივი.

საქართველოში რუსეთიდან მომლოცველთა 40-კასიანი ჯგუფი ჩამოვიდა



პილიგრიმებმა უკვე მოინახულეს თბილისისა და მცხეთის ტაძრები, შიომღვიმის მონასტერი, დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი, ბოდბე, ალავერდი, იყალთო, ტიმოთესუბანი და ვარძია.

მომლოცველები საქართველოში დაცული სინმინდეებისა და ეკლესიების შესახებ დოკუმენტურ ფილმს იღებენ. პილიგრიმები საქართველოში ერთი კვირა დარჩებიან.

ჯგუფს სამების საკათედრო ტაძარში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი შეხვდა. გიორგი ჩოგოვადის განცხადებით, საქართველოში პილიგრიმული ტურიზმის განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. უახლოეს მომავალში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია პილიგრიმულ კატალოგს გამოსცემს, რომელიც რამდენიმე ენაზე ითარგმნება.

კატალოგის საშუალებით პილიგრიმები და დანტერესებულნი პირები დეტალურ ინფორმაციას მიიღებენ საქართველოში არსებული ძეგლებისა და ეკლესიების შესახებ.

„პირველი“

მინისტრთა კაბინეტში კვლავ ცვლილებებია — ამჯერად პოსტი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დატოვა. დავით შავლიაშვილმა მთავრობის მეთაურს, ირაკლი ლარიბაშვილს გადადგომის შესახებ განცხადებით 21 აპრილს მიმართა. ოფიციალური ინფორმაციით, შავლიაშვილმა გადაწყვეტილება ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო მიიღო. საინტერესოა, მისი გადადგომა მართლა ჯანმრთელობის მდგომარეობას უკავშირდება თუ საგზაო დეპარტამენტში აღმოჩენილ დარღვევებს, ან ათონელზე მდებარე სკანდალური რეზიდენციის მშენებლობა-რეაბილიტაციის დასრულებას. ამ ეტაპზე, ცნობილი ისაა, რომ ექსმინისტრს მისი მოადგილე ნოდარ ჯავახიშვილი შეცვლის, რომელიც დანიშნვის დღიდან, შავლიაშვილს მწვავედ აკრიტიკებდა.

მინისტრის გადადგომას პრემიერი ირაკლი ლარიბაშვილი დაახლოებით 2 საათში გამოეხმაურა, რომელმაც მინისტრთა კაბინეტთან მოთათბირება მოასწრო და შავლიაშვილის პორტფელის ჯავახიშვილისთვის გადაცემაც დაადასტურა: „დავით შავლიაშვილს საკმაოდ სერიოზული, როგორც ჩანს, თანდაყოლილი დაავადება აღმოაჩნდა. პირველი შეტევა მას შარშან, დეკემბერში ჰქონდა, რის შემდეგ, ბოლო ოთხ თვეში გადადგომის თხოვნით რამდენჯერმე მომართა. თუმცა ქვეყანაში არსებული რთული ვითარების, ახალი გამოწვევების, ლარის დევალივაციის, სხვა მიზეზებისა და იმის გამო, რომ წლის პირველი კვარტლის წარმატებით დასრულება ძალიან მნიშვნელოვანი იყო, დარჩენის გადაწყვეტილება მიიღო. მართლაც, პირველი კვარტალი წარმატებით დაასრულა და სამინისტროს 107%-იანი შესრულება ჰქონდა, რაც მისი დამსახურებაა. მეწყინა მისი გადაწყვეტილება, მაგრამ დარჩენა ვეღარ დავაძლავებდი და მისი განცხადება გავიზიარებ. გუნდის შიგნით უკვე მქონდა კონსულტაციები და გადასტურებთ, ახალი მინისტრი ნოდარ ჯავახიშვილი იქნება“.

მოგვიანებით, კომენტარი მომავალმა მინისტრმა, ნოდარ ჯავახიშვილმაც გააკეთა და აღნიშნა, რომ გასაკეთებელი სამინისტროს კიდევ ბევრი ჰქონდა, თუმცა, ბოლო დროს, შავლიაშვილს პრემიერისგან განსაკუთრებული კრიტიკა არ დაუმსახურებია. სამაგიეროდ, ექსმინისტრი კრიტიკას ლამის დანიშნვის დღიდან იმსახურებდა საკუთარი მოადგილისგან. კულუარული ინფორმაციით, ნოდარ ჯავახიშვილი, თავის დროზე, ბიძინა ივანიშვილმა „ქართუ ბანკიდან“ ინფრასტრუქტურის სამინისტროში სწორედ გზების რეაბილიტაციის უკონტროლო ტენდერების გამო მიავლინა. სხვათა შორის, შავლიაშვილის გადადგომასზე პატარა კომენტარი ბიძინა ივანიშვილმაც გააკეთა და განაცხადა, რომ მისთვის ჯერ კიდევ უცნობია შავლიაშვილის გადადგომის ფაქტი და ვინ იქნება მისი შემცვლელი, ეს გადაწყვეტილება პრემიერმა უნდა მიიღოს. ცხადია, არავინ ეჭვობს, რომ ივანიშვილი ჯავახიშვილის კანდიდატურას მხარს უჭერს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას „ქართუ ბანკის“ პრეზიდენტის სავარძელს არ ჩააბარებდა, ჯერ კიდევ 2012 წლის არჩევნების დროს, მაშინ, როცა ყველაზე გაცხარებულ პოლიტიკურ ბატალიებში იყო ჩართული. თუმცა ამ ფაქტის საჯარო აღიარებით ყველას მაინც ნაციონალურმა მოძრაობამ დაასწრო, როცა ჯერ კიდევ მარტში განაცხადა, შავლიაშვილის სავარძელს ჯავახიშვილი უმიზნებს. ოპოზიციამ ეს განცხადება ჯავახიშვილის ინტერვიუს მოაყარა, რომელიც ნოდარ ჯავახიშვილმა ექსკლუზიურად სწორედ „ვერსის“ მისცა და სადაც მინისტრის მოადგილე გზების ტენდერებიდან ფულის საეჭვო „მოტეხვავზე“ საუბრობდა. პარალელურად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, ერთნაირი მუშაობის შემდეგ, გზების დეპარტამენტის აუდიტი 2015 წლის თებერვალში, ამ ინტერვიუებამდე 1 თვით ადრე, დაასრულა. ჯერჯერობით, კონკრეტული არაფერი თქმულა, თუმცა უწყებამ აღნიშნა, რომ არაერთი დარღვევა გამოვლინდა. მეტიც, მუნიციპალიტეტებში გამოვლენილ დარღვევებს მთავარი პროკურატურა უკვე სწავლობს. მასალები კი საგამოძიებო უწყებას აუდიტის სამსახურმა გადაუგზავნა. დღეს შემონებმა 10-ზე მეტ მუნიციპალიტეტში კვლავ გრძელდება. ასე რომ, ამ დღეებში არც გზების ტენდერების სკანდალის გაგრძელება უნდა გავიკვირდეს.

ამ ფონზე, შავლიაშვილის გადადგომაც, ერთგვარად, სკანდალის გაგრძელებაა, რომელიც „ვერსის“ ფურცლებიდან დაიწყო, შემდეგ ნოდარ ჯავახიშვილმა სხვა გაზეთებთან საუბარში უკვე დაადასტურა და განაცხადა: „შავლიაშვილს მარტივად აუხსენი, რომ სხვის პოსტანში არასოდეს გადავდივარ. სამინისტროში სწორედ იმისთვის მოვედი, რომ ახალგაზრდები გამოცდილებით შევავსო. დავით შავლიაშვილი გამოუცდელ კადრად არ მიმაჩნია, როგორც ვიცი, იგი გზების დეპარტამენტშიც მუშაობდა, თუმცა, ვერც იმას ვიტყვი, რომ წარმატებული მინისტრია“.

ნოდარ ჯავახიშვილი რომ ბიძინა ივანიშვილისა და პრემიერ ლარიბაშვილის განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი პირია, ფაქტია. ისიც არ არის დასაშაღი, რომ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში უამრავი ხარვეზი დაფიქსირდა, რომელიც ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებს უკავშირდებოდა. თავად ჯავახიშვილი აცხადებდა, რომ კანონი გამარჯვებული კომპანიების წარმომავლობითა და დამფუძნებლების ვინაობით დაინტერესებას სამინისტროს არც ავალდებულებს. „კანონი არც იმას გვაავალდებულებს, მონაწილე კომპანიების უკან სახელმწიფო მოხელეების ინტერესები ვიკვლიოთ — ამოსავალი წერტილი ტენდერში მონაწილე კომპანიის გამოცდილება და სამუშაოს ხარისხიანად შესრულებაა. შორს ვარ აზრისგან, რომ სამინისტრო-

ინფრასტრუქტურის მინისტრი გადადგა



დავით შავლიაშვილს ნოდარ ჯავახიშვილი შეცვლის

სა და სატენდერო კომისიაში ყველა საკითხი მოწესრიგებულია და პროცესი გამჭვირვალედ მიმდინარეობს, თუმცა ფორმალურად, თითქოს, ყველაფერი სწორად კეთდება!“ იგი იმასაც ადასტურებდა, რომ ხშირ შემთხვევაში, ტენდერებში ერთი და იგივე კომპანიები მონაწილეობენ და იმარჯვებენ, სხვა, ე.წ. დაჩაგრული კომპანიის მფლობელები კი ხმას არ იღებენ და სიმართლეს არ ამბობენ: „თუ ვინმე სამინისტროს არ ენდობა, მე მითხრას, ტენდერებში ვინ დაჩაგრა. პირობას ვაძლევ, საკითხს ძირფესვიანად შევისწავლი“, — აცხადებდა მინისტრის მოადგილე და ერთგვარად, მინისტრს ემიჯნებოდა. მანვე დაადასტურა რამდენიმე გახმაურებულ ტენდერზე სკანდალური ინფორმაცია სხვადასხვა მუნიციპალიტეტში. მაგალითად: ზემო სვანეთში, სადაც ყველა სამუშაოს მხოლოდ ერთი სამშენებლო კომპანია ასრულებს და სხვა ორგანიზაციები ტენდერებში არც კი მონაწილეობენ; ონში, სადაც ყველა სამუშაოს „ამბროლაურის გზა“ ასრულებს; ახალქალაქში, სადაც ყველა ტენდერში „ჯავახ ავტოგზა“ იმარჯვებს... ჯავახიშვილს, საეჭვო თუ ფორმალური ტენდერების თემაზე საუბრისას, კონკრეტულად შავლიაშვილის გვარი არასოდეს უხსენებია. იგი, ფაქტების დადასტურების შემთხვევაში, პირდაპირ მუნიციპალიტეტების გამგებლებს ემუქრებოდა. თუმცა დედაქალაქსა თუ რაიონებში არსებულ ინფრასტრუქტურულ პრობლემებზე პასუხს ისედაც უწყების პირველი პირი რომ აგებს, ამას მინისტრის მოადგილის კარნახი არც სჭირდება. ამის შემდეგ, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროში არსებული მდგომარეობის მიმოხილვისას, დავით შავლიაშვილმა ბრალდებები მედიის წინაშე საჯაროდ უარყო. ან უკვე ყოფილმა მინისტრმა მაშინ იოლი გამოსავალი იპოვა და როგორც ასეთი დროს ხდება ხოლმე, ხელი მედიას შეაწმინდა. ბრალდებების ტექნიკურ ნაწილს ასე უპასუხა: „ტენდერები არ ჩაშლილა, სამინისტროს ისეთი მაღალი ათვისება აქვს, როგორიც აქამდე არასდროს ჰქონია“. ნოდარ ჯავახიშვილთან ურთიერთობის კომენტარებისას კი განაცხადა, რომ მათ შორის არანაირი გაუგებრობა და დაძაბულობა არ არსებობდა და მისი მოადგილის კომენტარები მედიამ დამახინჯებულად გადმოსცა.

ამ გრძელი პოლიტიკური შესავლისა და იმის გათვალისწინებით, რომ ინფრასტრუქტურის სამინისტრო თუნდაც მხოლოდ გზებზე არსებულ პრობლემებს მართლა ვერ უმკლავდება, დიდი ალბათობით, მინისტრიც სწორედ ამ ვითარებამ შეინირა. კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტია ისიც, რომ გადადგომამდე ზუსტად 1 დღით ადრე, მთავრობის სხდომაზე, შავლიაშვილმა პრემიერს ათონელის საპრეზიდენტო რეზიდენციის დასრულებაზე ჩააბარა ანგარიში. ამ რეზიდენციის საკითხი ინფრასტრუქტურის მინისტრებისთვის, მათ შორის, დავით ნარმანიასთვისაც, მართლა თანდაყოლილ პრობლემად იქცა. ისტორიული შენობა, რომელიც ჯერ ორბელიანების სასახლე იყო, მერე აშშ-ს საელჩო, მოგვიანებით, კონსტიტუციონალიზმის ცენტრი, თავიდან პრემიერის რეზიდენციად მზადდებოდა, ახლა პრეზიდენტის რეზიდენციაა. პროექტი კი, დასაწყისში როგორც ითქვა, საკმაოდ ძვირი, 20 მილიონ ლარზე მეტი ჯდება. ნარმანიას დროს ამ შენობის რეაბილიტაციის ტენდერის დროსაც ბევრი პრობლემა შეიქმნა, ასევე, რამდენჯერმე გადაინა შენობის ჩაბარების ვადამ, შეიცვალა პროექტის თანხები და ა.შ. გამორიცხული არც ისაა, შავლიაშვილი ათონელის რეზიდენციის მორიგი გაუგებრობის მსხვერპლი გამხდარიყო და მას პოსტის დატოვება სწორედ ამ შენობის ჩაბარების შემდეგ აიძულეს.

ფაქტია, მინისტრთა კაბინეტში ეს ცვლილება საკმაოდ სერიოზულმა მიზეზებმა გამოიწვია. ასე რომ არ იყო, პრემიერი და სამთავრობო გუნდი ასე არ გარისკავდა და ნითელ ხაზს არ მიუახლოვდებოდა — ამეიდან, კიდევ ერთი მინისტრიც რომ შეიცვალოს, მთავრობის ნდობის საკითხი ხელახლა დადგება. მოქმედი კანონით, მთავრობას პარლამენტის ნდობის კიდევ ერთხელ მოპოვება იმ შემთხვევაში მოუწევს, თუ მინისტრთა კაბინეტის ერთ მესამედზე მეტი შეიცვლება. სულ 20 მინისტრი გყავს, სახიფათო რიცხვი კი 6-ია. დღეს შავლიაშვილის ჩათვლით, სულ 5 მინისტრია შეცვლილი: ირაკლი ალასანია, მაია ფანჯიკიძე, ალექსი პეტრიაშვილი და ალექსანდრე ჭიკაიძე. კიდევ ერთი მინისტრის შეცვლა კი პოლიტიკურ პროცესს ახლიდან გადააღებდა და ყბადაღებული ვადამდელი არჩევნების თემა, შესაძლოა, კვლავ დადგეს დღის წესრიგში.

პერსონალი

შს მინისტრი თურქეთის რესპუბლიკის ელჩს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის ელჩს, ზეჰი ლევენტ გუმრუქჩუს შეხვდა. შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო. საუბრის დასაწყისში თურქეთის ელჩმა ღრმა მწუხარება გამოთქვა ქართველი პოლიციელის დაღუპვის გამო.

შეხვედრაზე მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული რეფორმები და საკანონმდებლო ცვლილებები განიხილეს. შს მინისტრმა და ელჩმა ყურადღება გაამახვილეს რეგიონში არსებულ ვითარებაზე, ორი ქვეყნის სამართალდამცავი უწყებების ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებზე. საუბარი შეეხო შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების საკითხებს და ამ კუთხით საქართველოსა და თურქეთის პოლიციური სტრუქტურების როლს. შეხვედრაზე ხაზი გაესვა ორ ქვეყანას შორის არსებულ ისტორიულ, მეგობრულ ურთიერთობებს და გამოიკვეთა ორმხრივი თანამშრომლობის განვითარებისა და გაღრმავების პერსპექტივები. მინისტრმა საქართველოს სამართალდაცვითი სფეროს რეფორმირების პროცესში თურქეთის რესპუბლიკის თანადგომისთვის ელჩს მადლობა გადაუხადა.



„მე ასლას ოპოზიციის ვარ“



ექსკლუზიური ინტერვიუ აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრ დიმიტრი ჯაიანთან

თამარ ლოსასძე
599-20-94-01

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრია, თუმცა ამბობს, რომ თანამდებობაზე დანიშნული, მისთვის სამართლიანობა არ აღმდგარა და ამისთვის დროა საჭირო. არც გალში ქართული ენის შევიწროების შესახებ გავრცელებულ ისტორიას ადასტურებს და აცხადებს, რომ ვერაფერს გაბედავს ქართულის მაგივრად რუსული სკოლის გახსნას. სამაგიეროდ, აღნიშნავს, რომ მინისტრობა მისთვის არაფერს ნიშნავს — ახლაც ოპოზიციისა და მიუხედავად იმისა, რომ „მეფე ლირს“ განასახიერებს, თავს მინც დევნილად გრძნობს. „ვერსიას“ დიმიტრი ჯაიანი ესაუბრება.

— როგორ გრძნობთ თავს, ბატონო დიმიტრი?
— რა გითხრათ — ადამიანი დევნილობაში, სადაც უნდა იყოს, რა თანამდებობაზეც, მაინც დევნილია... ასეა... რაღაცები კეთდება, რაღაცები უნდა გაკეთდეს... ამ ეზოში შემოსვლა არ შეიძლება, მაგრამ მოვანერვივებ, გავხსენით მხატვარ ვალერი ართანის სახელობის გალერეა, რომელიც 1992 წელს დაილუა. ადრე ეს არ კეთდებოდა, მაგრამ არ ვარ ის კაცი, წარსულზე ვილაპარაკო... მოზარდ მასწავლებელთა და გამსახურდიას თეატრები, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, მსოფლიოში ცნობილი აფხაზეთის კაპელა, ჩვენი საამაყო მხატვრები... ყველას პატრონობა უნდა, საბედნიეროდ, ვახტანგ ყოლბაიას ბევრი ახსნა არ სჭირდება, შესაძლებლობების ფარგლებში ყველაფერს აკეთებს, მხარს გვიჭერენ და ეს ბედნიერებაა.

ახლა თეატრი იხდის 130 წლის იუბილეს, რომელსაც დათო საყვარელით ხელმძღვანელობს, გოჩა კაპანაძე დგამს შექსპირის „მეფე ლირს“, რეპეტიციებს რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე გავდივართ და სპექტაკლიც იქ გათამაშდება... ძალიან ძნელია, რობერტ სტურუასა და რამაზ ჩხიკვაძის მერე იგივე მოედანზე თამაში, მაგრამ ჩვენ ვიცით, რასთან გვაქვს საქმე...

— სოხუმის თეატრს დღემდე არ აქვს შენობა, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრისთვის ეს ნონსენსია არ არის?
— შენობა არ აქვს... ხელს გვიმართავს რუსთაველის თეატრი, ახმეტელის თეატრი, თუმცა ამავე შენობაში ვაპირებთ ფართის გამოყოფას. სხვათა შორის, ეს ერთადერთი შენობაა, რომელიც აფხაზეთს ეკუთვნის და ხვალვე რომ მოგვიხდეს უკან დაბრუნება, მაინც აფხაზეთის საკუთრებაში დარჩება. ვაპირებთ, აქ იყოს აფხაზური კულტურის ცენტრი.

— რადგან ამ სავარძელში გხედავთ, შემძლია ვივარაუდო, რომ თქვენთვის სამართლიანობა აღდგა?
— არა, ამას დიდი დრო სჭირდება. ვახტანგ ყოლბაია ჩემი ბავშვობის მეგობარია, შემომთავაზა, ერთად გვეკეთებინა საქმე... ჩემზე რომ ამბობენ, მინისტრი მოვიდაო, მეცინება. რა მინისტრი?! — მე ვარ საქართველოს სახალხო არტისტი და ეს ნოდება ბევრად მეტია, ვიდრე მინისტრობა! დღეს ვიქნები თანამდებობაზე, ხვალ აღარ, უბრალოდ მინდა, რაღაც გავაკეთო... ახლა გავხსენით ძველთა დაცვის სამსახური — საოცრებებს,

რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე, სხვანაირი მოფრთხილება სჭირდება.

— საინტერესოა, თბილისიდან როგორ მოუფრთხილებით ძველებს აფხაზეთში?
— გავრო უნდა ჩაერიოს, არსებობს შენივეის მოლაპარაკების ფორმატი, გვყავს შესანიშნავი რესტავრატორები...

— კარგი რა, ბატონო დიმიტრი, ცხვირს არ გვაყოფინებენ აფხაზეთში...
— ესაა სწორედ დასარეგულირებელი, იქაური ბავშვები ფოტოებს გვიგზავნიან, რა მდგომარეობაშია ეკლესია-მონასტრები, ძველები...

— და ქართული ენაც... როგორ ფიქრობთ, რატომ გააქტიურდა ბოლო დროს ანტიქართული კამპანია?
— ეს ჭორის დონეზეა, ჯერ ოფიციალური მონაცემები არ გვაქვს... იცით, ეს ძალიან ფაქიზი თემაა. იქ გვყავს გმირები, რომელთა ვინაობას ვერ ვამყდებენ იმიტომ, რომ შეიძლება, გარკვეული პრობლემები შეექმნათ... ისინი ღამით გაკვეთილებს უტარებენ ბავშვებს...

— თუ ქართულ ენას არ დევნიან, იატაკქვეშ გაკვეთილის ჩატარება რატომ აუცილებელია?
— არ ჰყოფნის საათები... მათთან გამუდმებული კონტაქტი გვაქვს, პედაგოგები, მოსწავლეები აქეთ გადმოგვყავს, რომ იცოდეთ, როგორი ქართული მეტყველებენ ეს ბავშვები, როგორ პედაგოგები ასწავლიან, როგორ აზროვნებენ.

— ამბობთ, რომ გავრცელებული ინფორმაცია ჭორია და ქართულ ენას არავინ ერჩის?
— ოფიციალურად არაფერია დადასტურებული, საქართველოს განათლების სამინისტროც ყველაფერს აკეთებს, ვიცით, რა ხდება იქ და ბოდიშს გიხდით, წყაროს რომ ვერ გისახელებთ... პრობლემები არის, მაგრამ ვერაფერს მოსპობენ, ქართული ნიგნები აუცილებლად შევა.

— ამის ბერკეტები აქვს ქართულ მხარეს?
— ნამდვილად გვაქვს ბერკეტები და არც ქვეყანა ჩაღივებული, 21-ე საუკუნეა ბოლოს და ბოლოს — ქართული სკოლების მაგივრად რუსულის გახსნა, ამაზე ნამსვლეელი არავინაა. არიან ადამიანები, ვისაც ქართველის გაცნობა არ უნდა, მაგრამ მათთან ერთად ცხოვრობენ აფხაზები, ვინც ქალიშვილს მზითვში „ვეფხისტყაოსანს“ ატანდა... სწორედ მათ უნდა მოეუფრთხილდეთ.

— როგორც ვუფრთხილებით, ჩანს. მასხოვს ამბობდით, ვიცი, როგორ დავარეგულიროთ ორ მხარეს შორის ურთიერთობები და ამ დროს რეალურად არაფერი ხდება.
— ...ახლახან კონცეფცია ჩამოყალიბდეთ, როგორ უნდა ისწავლებოდეს აფხაზური ქართულ სკოლებში.

— და ეს არ იქნება ნელი მოქმედების ნაღმი?
— არა, ჩვენ უნდა ვასწავლოთ ბავშვებს. ეს იმისთვის კი არ კეთდება, ვინმემ დაინახოს. სახელმწიფო ისე იქცევა, როგორც უნდა იქცეოდეს. შევიცარიის საელჩო სოხუმელ და დევნილ ბავშვებს სხვადასხვა ქვეყანაში ერთმანეთს ახვედრებს. შესვლად საქართველოშიც შედგა, ისინი პატრიარქმა მიიღო. იცით, რა ხდებოდა — საღამოზე ტირილის მეტი არაფერი მიკეთებია... აი, ასეთ რამეზე უნდა დაიხარჯოს ფული და ასეთი რაღაცები უნდა კეთდებოდეს იმიტომ, რომ იქ ვინც გვყავს, უმრავლესობას არ

წარმოადგენენ. სამწუხაროდ, ჩვენი ტელევიზიებიც სულ რეკლამებზეა გადასული, ვინც გაიხდის, იმას აპირებენ, არადა იქ, აფხაზეთში, ყველა გაზეთს კითხულობენ და ყველაფერი იცინან. არ ვამბობ, ვითარება ლამაზ ფერებში დაეხატოს, უბრალოდ, უტყუარი ინფორმაცია უნდა მივანოდოთ. გუშუბნება ის კაცი, არ მინდებარო, მაგრამ ისეთი მრავალადაა, ვინც ამბობს — რა ვუყო ამ გულს, რომელსაც ნოდარ დუმბაძე ენატრებაო.

— ამბობთ, ასეთი ადამიანები ცოტააო, ძალა კი აღმართს ხნავს.
— არ არის ასე, უნდა ვეცადოთ, მათი რაოდენობა გაიზარდოს და სწორედ ამისთვის ვარ აქ, თორემ როგორც კი უკეთესი კანდიდატი გამოჩნდება, მაშინვე წავალ.

— სად მიდისარო, სცენა მოგენატრათ?
— თეატრში ისედაც ვთამაშობ, მე ვარ მეფე ლირი...
— არ დათმეთ, ხომ, მეფის სავარძელი?
— იმიტომ, რომ არ არის დღეს სოხუმის თეატრში ჩემზე უკეთესი მეფე ლირი, თორემ კი, ბატონო, გავინფორმებ გვერდზე.

— და დათანხმდებით მეორეხარისხოვან როლს?
— მასობრივ სცენებში არ ვმდგარავარ? რაზეა საუბარი... ახლაც დავდგები, მაგრამ, როცა მეფე ლირი იდგმება მაშინ...
— აუცილებლად თქვენ უნდა იყოთ, არა? ამბობდით, ნიჭიერებაზე მაღლა არ დადგეს უნიჭობაო. ფიქრობთ, შეძელით?
— ზუსტად ამას ვაკეთებ... ბევრ რამეში შეგნითაც ხელს მიშლიან, თითს არავისკენ გავიშვებ, თვითონვე მიხვდება... ვგიჟდები მხატვრობაზე, მაგრამ ხაზის გავლებაც არ ვიცი და ვერასოდეს ვიკადრებ, ჩავერიო მხატვრების საუბარში. ჰოდა, როცა ხელოვნებაზეა საუბარი და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი ამბობს, რომ არ უნდა ჩაერიო, ესე იგი, არ უნდა ჩაერიო!

— ეს უკვე დიქტატურაა.
— არ ვბრაზობ, უბრალოდ ვუხსნი, რომ ეს საქმე მათზე კარგად ვიცი და არ უნდა ჩაერიო...

— ნაკლებად ემოციური მიჩვენებით, არც კრიტიკულ შეფასებებს აკეთებთ, გატყობთ, ქართული დროსაც შეგიყვარდათ...
— გერმანე ფაცაცის სიტყვებით: „ათი რაღაცა ხდება ამ სანუთორში დღეს, ისე ცივდება ყოფა, თითქოს შესცივდა მზეს“... თითქოს შესცივდა მზეს!.. არა, არა! მე ვერ შემამჩნევთ ძმაცყოფილებას, ბრძოლაში ვართ ყველა ერთად. დევნილ კაცს უნდა შეუმსუბუქო ყოფა. რაც შეეხება დროს, პრეტენზია მაქვს, რომ უკეთესი დროა უნდა ჰქონდეს საქართველოს. რა ვქნა, ბევრს ვერ ვპატიობ იმ საშინელებას, რაც წინა წლებში ხდებოდა. თან ჭკუას გვარგებენ და მთელ საქართველოს რომ აუპატიურებდნენ, ავინყვებოდათ! ესაა უბედურება. გაპატივ, შე დალოცვილო! მაგრამ არა — ისე იქცევიან, უნდათ, შეშალონ ხალხი ჭკუიდან.

— იმედგაცრუებული დემოკრატია.
— სამართლიანობის აღსადგენად ორი წელი ძალიან ცოტაა და ამ დროს შეიძლება ვილაც დაუმსახურებლად დაიჩაგროს.
— კიდევ რამდენ წელს ეყოფა დიმიტრი ჯაიანს მოთმინება?
— უნდა ვაცადოთ... უმადურობა საშინელი სენია! როცა ბიძინა ივანიშვილზეა საუბარი, არ უნდა დაგვაგინყდეს, ვერაფერი გავაკეთებთ იმას, რაც მან გააკეთა.

— გამოდის, ოპოზიციის მადლიერების გამო ველარ გიხილავთ?
— მე ახლაც ოპოზიციის ვარ, მაგრამ რაც გააკეთა, უნდა დაფუფასოთ, არ შეიძლება, იყვირო, შენ მართავ ქვეყანასო... ყველაფერი კარგად იქნება, ორი წელი ცოტაა.

— მე კი ვფიქრობ, ორ წელშივე შეძლებოდა საქმე უნდა გამოძიებულიყო, მით უმეტეს, ეს თქვენს ინტერესშიცაა — მაშინ ბევრმა გამოიშვირა თითი თქვენსკენ...
— პროკურატურაში განცხადება მაქვს შეტანილი, ამას ასე არ დავტოვებ — არ შეიძლება, ადამიანი უცებ გაქრეს. ეს საქმე უნდა გამოიძიონ.

— გეოგრაფიკული იზომით — იჩივლებთ ცილისწამებისთვის?
— ეს არაფერ შუაშია, ჩემთვის მთავარია გავიგო, რატომ გავიტაცეს და რა მოხდა რეალურად. კი, ჩემსკენ გამოიშვირეს ხელი, მაგრამ ასეთ ხალხს რაზე უნდა ველაპარაკო?! ეგ კი არა, ვინც თეატრში მილაღატა, ისინიც კი არ გამოითავისუფლებია. ძალიან მტკივნეულია ამაზე საუბარი, ჩემთვის ისინი აღარ არსებობენ, მაგრამ როცა მინისტრად დავინიშნე, სინდისს გეფიცებით, თავში აზრადაც არ მომსვლია, თეატრიდან გამეშვა, ზოგი თავის ნებით წავიდა...

— ფიქრობთ, ასეც უნდა მოქცეულიყვნენ?
— მთლად ნამუსგარეცხილები არ ყოფილან... არც მე, არც დათო საყვარელიძეს მათთვის არ გვითქვამს, წადითო. იმის თქმა მინდა, რომ რევანში არ ამიღია.

— არადა, მასხოვს, თავის დროზე იმუქრებოდით, ისე გავუხდით საქმეს, თავის სორცს შეჭამენო...
— ვიძახდი, მაგრამ იმდენად პატარები არიან ჩემს თვალში... რევანში უნდა აიღო კაცზე, რომელიც აბსოლუტურად შენს რანგში გადის, ასეთი ხალხი კი უბრალოდ მეცოდება. ახლა ამისთვის არ მცალია, სხვა საქმეა გასაკეთებელი — მაშინ დავისვენებ, როცა დავბრუნდებით აფხაზეთში, მანამდე კი ყოველთვის ვიქნები ემოციური და მექნება გაღიზიანება იმიტომ, რომ ჩემი ადგილი სოხუმშია, აუცილებლად იგივე გზით დავბრუნდები, რა გზითაც წამოვედი — ჭუბერით და რომ გადავხედავ სოხუმს, დავიღრიალებ — გამარჯობა, აფხაზეთო შენი!

პარსიანისი

უსს-ს წარმომადგენლებმა საპარტალდასებით სფეროში ერთობლივი საერთაშორისო ოპერაციების შესახებ გაერთიანებული საუბარო შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა



სამუშაო შეხვედრის მიზანი იყო ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ერთობლივი საერთაშორისო ოპერაციების განსახორციელებლად არსებული სამართლებრივი ჩარჩოსა და პრაქტიკული მეთოდების განხილვა. მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აღნიშნულ სფეროში მიღებული გამოცდილება, წარმატებული მაგალიტები, განიხილეს არსებული გამოწვევები და თანამშრომლობის სამომავლო გეგმები. ღონისძიების ფარგლებში, კონფერენციის მონაწილეებმა ისაუბრეს როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე სამართალდამცავ უწყებებს შორის ოპერატიული ინფორმაციის გაცვლის მეთოდებზე, ევროპოლთან თანამშრომლობასა და სხვა საკითხებზე.

„ვერსიანისი“

ექსკლუზიური ინტერვიუ ბულგარეთის ელჩთან

პდამენ ბონჩევი: „საქართველოს მოქადაქეებისთვის უვიბო რეჟიმი მადე ამოქმედება“

მაკა ლომაძე
555-27-95-13

„ვერსია“ „დიპლომატის ტრიზუნა“ ამჟერად პლაზმინ ბონჩევი უთმობს. ბულგარეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში სიამოვნებით გვიზიარებს თავის შეხედულებას საქართველოს მიღწევებზე საგარეო პოლიტიკის მიმართულებით და იმაზეც საუბრობს, რა პრიორიტეტული საქართველო-ბულგარეთის ორმხრივ ურთიერთობაში.

— როგორ შეიძლება თავიდან ავიცილოთ უკრაინის სცენარის განმეორება საქართველოში და როგორ ვიგრძნოთ, რომ ევროკავშირი ამ უთანასწორო ბრძოლაში მარტო არ დაგვტოვებს?

— ევროკავშირი და მისი წევრი ქვეყნები, ბულგარეთის ჩათვლით, ყოველთვის აქტიურად უჭერდნენ მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. 2008 წლის ომის დროს, საფრანგეთის პრეზიდენტი სარკოზი ჩამოვიდა და ხელი შეუწყო რუსეთ-საქართველოს შორის ხელშეკრულების გაფორმებას ცეცხლის შეწყვეტაზე; შედეგად, გაჩნდა შენევის ფორმატი. ეს არ არის ადვილი მოლაპარაკებები, მაგრამ ერთადერთი საერთაშორისო ფორუმი, სადაც კონფლიქტის ყველა მხარეა წარმოდგენილი. აქ მონაწილეებს შეუძლიათ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული, ასევე ჰუმანიტარული საჭიროებების ყველა ძირითადი საკითხის განხილვა. შენევის ფორმატი ასევე ეხმარება, ერთმანეთის ნდობა მოიპოვონ. მოსკოვსა და სოხუმს, მოსკოვსა და ცხინვალს შორის ე.წ. ხელშეკრულებები არ უწყობს ხელს შენევის მოლაპარაკებებს. ის დიდი გამოწვევაა საერთაშორისო საზოგადოებისთვის. სამუხაროდ, რუსეთ-ცხინვალის დოკუმენტის ხელმოწერა დაემთხვა სწორედ იმ დღეს, როცა შენევის მოლაპარაკებების 31-ე რაუნდი იმართებოდა, ამიტომ ვიზიარებთ საქართველოს მთავრობის შეხედულებას, რომ ევროკავშირის მხარდაჭერა ახლა ბევრად მნიშვნელოვანია. რუსეთმა უნდა აიღოს ძალის არგამოყენების ვალდებულება; ასევე უმნიშვნელოვანესია, საზღვარზე ხალხი, ჰუმანიტარული დახმარება და ევროკავ-

შირის დამკვირვებლები დაუბრკოლებლად გადაადგილდნენ. დასტური, რომ ევროკავშირი საქართველოზე ფიქრობს, სადამკვირვებლო მისიაა — მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით იმ ფონზე გაიზარდა, რომ ეუთო-ს მისია აღარაა. სხვათა შორის, ბულგარეთი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ერთ-ერთი დიდი კონტრიბუტორია. თუ ყველაფერს ახლო ხედით შევხედავთ, რასაც ყოველთვის მივესალმები, მგონია, ყველაზე დიდი დახმარება, რაც ევროკავშირმა საქართველოს აღმოუჩინა, შარშან ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულებაა. ეს ისტორიული გადაწყვეტილება იყო.

— მნიშვნელობაზე არავინ დავობს, მაგრამ საკითხავია, როგორ სრულდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები?

— ეს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ყველაზე ამბიციური და მრავალმომცველი დოკუმენტია და მისი იმპლემენტაცია ხანგრძლივი პროცესი იქნება. ჯერჯერობით, საქართველო გზის დასაწყისშია, მაგრამ შეფასებები, რომლებიც ბრიუსელიდან, ასევე საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობიდან მესმის, პოზიტიურია. არც ისე დიდი ხანია, პირველი ასოცირების საბჭო ჩატარდა, რომელსაც საქართველოს პრემიერი, მინისტრები და ევროკავშირის უმაღლესი რანგის პირები დაესწრნენ. ამ საბჭომ აჩვენა, რომ იმპლემენტაცია სწორი მიმართულებით მიდის. საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს შესწორებები შეაქვთ ეროვნულ კანონმდებლობაში, რაც ამ უკანასკნელს ევროპულ სტანდარტებთან აახლოებს. გვაქვს პრაქტიკული შედეგებიც ეკონომიკური თანამშრომლობის კუთხით, ვაჭრობის მიმართულებით... დარწმუნებული ვარ, ეს იმპლემენტაცია საქართველოს ბევრად გააძლიერებს დემოკრატიული ინსტიტუტების, ადამიანის უფლებების კუთხით და სიღარიბის, დასაქმების პრობლემების დაძლევაშიც დაეხმარება. ძლიერი საქართველო კი იოლად გაუმკლავდება გარე ზეწოლას.

— ამ უკანასკნელში საქართველოს, ალბათ, ნატო-ს კენსრაფვაც დაეხმარება და ისიც რომ, როგორც გვეუბნებიან, ჩვენთვის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის კარი ღიაა...

— ბულგარეთშიც გამოდიოდა ზოგი „ნეიტრალიტეტის“ დასაცავად, მაგრამ უმრავლესობა ხვდებოდა, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, შემდგომი განვითარების-



თვის, ერთადერთი პერსპექტიული გზაა. ქართველმა ხალხმა გააკეთა არჩევანი და ნატო-ს ღია კარის პოლიტიკა მესამე ქვეყანას არ აძლევს უფლებას, ჩაერიოს სურვილში, გახდეს ნატო-ს წევრი. ნატო იღებს ვალდებულებას, ჩაატაროს აქტიური კონსულტაციები თითოეულ პარტნიორთან, თუკი გრძნობს ტერიტორიული მთლიანობის, პოლიტიკური დამოუკიდებლობის ან უსაფრთხოების პირდაპირ საფრთხეს. ნატო-სთან კონსულტაციები უაღრესად მნიშვნელოვანია. ბულგარეთმაც გამოიყენა ეს შესაძლებლობა დასავლეთ ბალკანეთში კონფლიქტის დროს. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა თებერვალში ნატო-საქართველოს კომისიაზე ისაუბრა, რომ სოხუმსა და ცხინვალთან მოსკოვის ე.წ. ხელშეკრულებები, რეგიონის სტაბილურობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯია. ნატო-ს მოკავშირეებმა გააკრიტიკეს ეს „ხელშეკრულებები“ და მხარი დაუჭირეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. უელსის სამიტზე საქართველო აღიარეს ნატო-ს ერთ-ერთ უახლოეს პარტნიორად. უელსში დამტკიცებული თანამშრომლობის პაკეტის იმპლემენტაციაზე კი ნატო აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან. გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა, ჯეიმს აპატურაიმ ამ დღეებში აღნიშნა, რომ ყველაფერი კარგად სრულდება; ნატო-ს ექსპერტები უმდივად ჩამოდიან, რაც ალიანსის სერიოზულ განზრახვებზე მეტყველებს. ამ ზაფხულს საქართველოში ჩამოვა მრჩეველები-სა და ექსპერტების ძირითადი ჯგუფი და ჩატარდება პირველი ერთობლივი სწავლება საქართველოს ტერიტორიაზე. ვიმედოვნებ, წლის ბოლოს, ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრის საწყისი ვარიანტი ჩამოყალიბდება. უელსის სამიტის შემდეგ მოკლე ვადაში, ეს კარგი შედეგია.

— არადა, საქართველოს ხელისუფლებას ოპოზიცია საგარეო კურსის შეცვლაში ადანაშაულებს. მსგავსი ტენდენცია არ შეინიშნება?

— ცოტა ხნის წინ დიპლომატიური კორპუსი პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლას დაესწრო. მკაფიოდ დასახელდა ორი რამ: ევრო და ევროატლანტიკური ინტეგრაცია. გაგვიზარდა, მთელი პარლამენტი, ამ საკითხებთან დაკავშირებით, ერთსულოვანი რომ იყო. ეს ორი პრიორიტეტი არაერთხელ დაადასტურა პრემიერმა და პარლამენტის სპიკერმა. ასე რომ, ვფიქრობ, „ბრალდება“ უადგილოა.

— ამ ფონზე, რამდენად წარმატებული იქნება რიგის სამიტი?

— მგონია, ხსენებული წარმატებები კარგად აისახება ლატვიაში. იმედი, კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგება ამ მიღწევების საპასუხოდ საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის მიმართულებით. რაც შეეხება სპეკულაციებს უვიზო რეჟიმთან დაკავშირებით, ხაზგასმით ვამბობ — ეს საკითხი არ არის დაკავშირებული სამიტთან. დიალოგის საგანია უვიზო რეჟიმი, რომელიც დაიწყო რამდენიმე წლის წინ, შარშან კი საქართველომ სამომავლო გეგმა მიიღო და პირველი ეტაპი წარმატებით გაიარა. რიგაში ეს საკითხი არ გადაწყდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სამიტის დეკლარაცია აუცილებლად აღნიშნავს პროგრესს. საქართველოს მოქალაქეები უვიზო რეჟიმით მალე ისარგებლებენ.

— საქართველოსა და ბულგარეთის ურთიერთობებს შორის რაიმე სიახლეა?

— ახლა, ორმხრივი ურთიერთობები ასოცირების ხელშეკრულებასა და ნატო-საქართველოს არსებით პაკეტზე ფოკუსირებული. ბულგარეთი სამედო პარტნიორია და მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და ევროპულ გზას. პოლიტიკური დიალოგი უფროდაუფრო ღრმავდება. ორი ქვეყნის პირველი პირები ხშირად ხვდებიან და საუბრობენ პრიორიტეტებზე. ერთი თვის წინ დავით უსუფაშვილი ეწვია ბულგარეთს... სამი წელი არაა, რაც საქართველოში ვარ და ამ ხნის განმავლობაში 6 ვიზიტი შედგა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. შარშან გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი გარემოს დაცვის სფეროში, მომზადდა სხვა მეთანხმებები სოფლის მეურნეობის, რეგიონული განვითარებისა და თვითმართვებლობის სფეროში. მოხარული ვარ, რომ ორმხრივ ურთიერთობაში ერთ-ერთ პრიორიტეტად იკვეთება სოფლის მეურნეობა, რომლის განვითარებაც თქვენი ქვეყნის მთავრობისთვისაც უმნიშვნელოვანესია. მზად ვართ, გავიზიარო ჩვენი გამოცდილება სოფლის მეურნეობის განვითარების ახალ სისტემაზე გადასვლასა და ევროსტანდარტების მიღწევაში; მზად ვართ, ამგვარად დავეხმაროთ საქართველოს, სრულად ისარგებლოს ასოცირების ხელშეკრულებით შექმნილი თავისუფალი სავაჭრო ზონით და სოფლის მეურნეობის საქონელს შქონდეს წვდომა ევროპულ ბაზარზე.

პერსონალი

ევროკავშირი საქართველოსთვის ახალი ფინანსური დახმარების პაკეტს გამოყოფს

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ინფორმაციით, თანხა საქართველოში მენარმეობის განვითარებასა და იმ ახალი შესაძლებლობების უკეთ წარმოჩენას მოხმარდება, რაც ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტის ამოქმედებას უკავშირდება. ევროკომისარი იოჰანეს ჰანის ინფორმაციით, ფინანსური დახმარება 2015-2017 წლისთვის იქნება გათვალისწინებული და მცირე თუ საშუალო მენარმეობის განვითარებას მოხმარდება.

გადაწყვეტილებას ფინანსური დახმარების ახალი პაკეტის თაობაზე რიგის სამიტზე მიიღებენ: „დარწმუნებული ვარ, დაახლოებით 410-მილიონიანი ბიუჯეტი, რომელიც საქართველოსთვის გვაქვს გამოყოფილი, გონივრულად დაიხარჯება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) შეთანხმების განხორციელებაზე. ჩვენ განსაკუთრებით უნდა დავუჭიროთ მხარი მცირე და საშუალო ზომის საწარმოების განვითარებას. ყველა



მოთხოვნის დაკმაყოფილება მთავარი გამოწვევაა, მაგრამ ამავე დროს პერსპექტივაა საქართველოს ეკონომიკისთვის. თუ თქვენ შეხედავთ შარშანდელ კვლას, წელს ევროკავშირში ექსპორტის წილი გაიზარდა. ჯერ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი. ინვესტიცია კონკრეტულად უნდა ჩავდეთ მცირე და საშუალო ზომის საწარმოების განვითარებაში და იმ თანხების გარკვეული ნაწილი, რომელიც ვახსენე, სწორედ ამაზე დაიხარჯება“.

20 აპრილს ლუკაშენკოში გაიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრა ევროკავშირის წევრი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური უწყებების ხელმძღვანელებთან. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი ფედერიკა მოგერინი და ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების მოლაპარაკებათა საკითხებში ევროკომისარი იოჰანეს ჰანი.

„პირველი“

22 აპრილს საქართველოს სახელმწიფო ვიზიტით ბელორუსის პრეზიდენტი ანდრეი ლუკაშენკო

ალექსანდრე ლუკაშენკო 23 აპრილს საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს და პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიბაშვილს შეხვდება.

გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრის შემდეგ, ხელი მოეწერება ერთობლივ დოკუმენტს და ორი ქვეყნის პრეზიდენტების ერთობლივი პრესკონფერენცია გაიმართება. ასევე, 23 აპრილს ბელორუსის პრეზიდენტი ყვავილებით შეამკობს საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალს და უცნობი ჯარისკაცის საფლავს. ალექსანდრე ლუკაშენკო ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ასევე შეხვდება სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორესა და სამების საკათედრო ტაძარს დაათვალიერებს.

24 აპრილს კი, ალექსანდრე ლუკაშენკო ეწვევა ბათუმს, სადაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარეს არჩილ ხაბაძეს შეხვდება. ბათუმში ხელი მოეწერება ქალაქების, ბათუმისა და ბრესტის დამშობილების ხელშეკრულებას.

ბელორუსის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვიზიტის ფარგლებში, 22 აპრილს საქართველო-ბელორუსის ბიზნესფორუმშიც გაიმართება. ბიზნესფორუმზე ბელორუსის დელეგაციას რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი მიხეილ რუსი უხელმძღვანელებს. ასევე, დაგეგმილია ბელორუსის სასურსათო პროდუქციის დეგუსტაციის მონაწილეობა, რომელშიც 15-მდე ბელორუსული კომპანია მიიღებს მონაწილეობას. 23 აპრილს, ღონისძიების ფარგლებში, იგეგმება „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასა“ და ბელორუსის რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატას შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა.

„პირველი“



ოპოზიციის პოლიტიკური პნეზანი და მასტერკლასი ბიძინა ივანიშვილისგან

ინტერვიუ ლურსაგანაშვილი, 593-51-52-04

„ყველას თავისი სახელი უნდა ერქვას“, — ამ ფრაზით სცადა ბიძინა ივანიშვილმა 20/30-ზე იმ ადამიანების მხილება, ვინც არ აღიარებენ, მაგრამ წინა ხელისუფლების მხარდამჭერები, თანამოაზრეები ან დამცველები არიან. ჭორებზე არ ვისაუბროთ, ფაქტებს დავყვებით, კი თქვა ქვეყნის „პირველმა მოქალაქემ“, მაგრამ ნაციონალური მოძრაობის ფარული აპოლოგეტების მცირე ჩამონათვალი მაინც შემოგვათავაზა — ქვეყნის პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, ექსპერტი რომან გოცირიძე, თბილისის საკრებულოს დეპუტატი ალექსანდრე ელისაშვილი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ხელმძღვანელი ევა გიგაური და „ახალგაზრდა იურისტების“ ყოფილი ხელმძღვანელი, ამჟამად პრეზიდენტის მრჩეველი კახა კოჭორიძე... მათ რიცხვში კი, „ოცნებიდან“ არც ისე დიდი ხნის წინ, ივანიშვილის ტერმინოლოგიით — „აკორექტულად წამოსული“ ირაკლი ალასანიაც მოიაზრება. ის ალასანია, რომელმაც ოპოზიციონერის მანტია ისევ მოირგო. რამდენად მოხდენილად, ამას 2016 წლის არჩევნები გვიჩვენებს, სადაც ქვეყნის მთავარი ძალა — ხალხი, იმაზეც გაგვიცემს პასუხს, დაიჯერა თუ არა ამა თუ იმ პარტიის გულწრფელი ოპოზიციონერობის და ბრძოლის რამდენად სწორი მეთოდი აირჩია ზოგადად, ოპოზიციამ.



ყოფილი პრემიერი ნაციონალების ფარულ აპოლოგეტებს ამხედს და ოპოზიციურ პარტიებს რჩევებს აძლევს

მანამდე კი, ოპოზიციურ ფლანგზე ავად თუ კარგად გადა- ნაწილებულ პოლიტიკურ ძალებს ბიძინა ივანიშვილმა ბრძო- ლის მეთოდები დაუნუნა და ოპოზიციონერობის თეორიული მასტერკლასიც ჩაუტარა — რჩევებიც მისცა და გადაცემის ნამგორად არჩილ გამყარდასთან, „სტრატეგიული გამომკვლე- ვების ცენტრის“ ხელმძღვანელ ნათელა სახოკიასა და მწერალ და პუბლიცისტ შადიმან შამანაძესთან ერთად, შეეცადა, გა- ეცა პასუხები მარტივ, მაგრამ ქართული პოლიტიკოსების- თვის „აქილევსის ქუსლად“ ქვეულ კითხვებზე: არის თუ არა ხელისუფლების ლანძღვა-გინება ოპოზიციის ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე, ზოგადად, როგორია და როგორ უნდა იყოს ოპოზიცია და არის თუ არა მისი დანიშნულება ქვეყნის მმართველთა ქმედებებში მხო- ლოდ ნეგატივის დანახვა?

ბრძოლა წესების გარეშე ქართული პოლიტიკისთვის, სამ- ნუხაროდ, ტრადიციანა. ოპონენტებისთვის დაუსაბუთებელი ბრალდებების წამოყენება და ათას სისაძაგლეში „მხილება“ აპრობირებული მეთოდია და სამწუხაროდ, არც ერთმახეთის თავპირისლენვას ერიდებიან ჩვენი პოლიტიკოსები. ამ მხრივ, ცხადია, ოპოზიცია უფრო აქტიურია. სხვა თუ არაფერი, ჩვენთან ხომ, ზოგადად, ოპოზიციონერობაა გაიგივებული რადიკალიზმთან, უკომპრომისობასთან, ყვირილთან, აგრე- სიასთან... „ქვეყნის ეკონომიკა დაქცეულია, ქვეყანაც თავ- ზე გვექცევა“, „საგარეო კურსი იცვლება“, „ხელისუფლება უუნაროა“, — ეს ფრაზები, საქართველოში, ოპოზიციონერ ლიდერებს, „წინამორბედი ოპოზიციისგან“ ესტაფეტასავით გადაეცემა. სინამდვილეში კი, ოპოზიცია ხელისუფლებას უნდა აკრიტიკებდეს, არგუმენტირებულად ამხედდეს და ქვეყნის განვითარებაშიც უნდა მონაწილეობდეს. ნათელა სახოკიას განმარტებით: „ნებისმიერ საზოგადოებაში, სადაც არის სტაბილურობა, დემოკრატიული ტრადიცი- ები, ოპოზიცია ბუნებრივი და კანონზომიერი მოვლენაა. ის საზოგადოების განვითარებასა და პროგრესს უწყობს ხელს. ის ძალა და მექანიზმია, რომლითაც ხელისუფლება საზოგადოებასთან უკუკავშირს ამყარებს. ხელისუფლებას ლეგალურად აქვს ძალადობის (ძალის ხმარების) უფლება და ამის დასაბაღანსებლად არსებობს ოპოზიცია, რო- მელიც აკონტროლებს ხელისუფლებას. მისი ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი ხელისუფლების კრიტიკა და მხილება, მაგრამ პატიოსანი და პასუხისმგებლიანი ოპო-

ზიცია მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება და ცდილობს, ხელი შეუწყოს ქვეყნის განვითარებას“.

ქვეყნის განვითარებაში წვლილი კი ოპოზიციამ მნიშვნე- ლოვანი და სწორად დაყენებული საკითხების მხარდაჭერით უნდა შეიტანოს, რაშიც გარკვეულწილად, ხელისუფლებასთან თანამშრომლობაც იგულისხმება. აი, სწორედ ესაა ქართულ რეალობაში ყველაზე რთული — როგორც წესი, ოპოზიცი- ონერებს ხელისუფლების წარმომადგენლები შავი ჭირვით ეზარებათ და მათთან თანამშრომლობას ყველაფერი ურჩე- ვნიათ. ესაა ალბათ მიზეზი, რომ როგორც ბიძინა ივანიშვილი ამბობს, ხშირად, მთავრობისა და ხელისუფლების ოპოზიციო- ნერობა, ქვეყნის ოპოზიციონერობაში გადაიზრდება ხოლმე. არადა, „ეს ქვეყანა ჩვენი, ყველასია, მათიცაა და მათაც უნდა ჰქონდეთ ვალდებულების განცდა, იზრუნონ მასზე. მართლაც ლანძღვა-გინებით საქმე არ კეთდება. ოპოზიციამ კონსტრუქციული ნაბიჯები უნდა გადადგას, ხელისუფლე- ბის კარგ წინადადებებს მხარი დაუჭიროს, მათზე უკეთესი იდეები კი თავადაც უნდა შემოგვთავაზონ“.

შადიმან შამანაძის მოსაზრებით, დღევანდელ ქართულ რეალობაში ხელისუფლება-ოპოზიციას შორის კონსტრუქ- ციული საუბარი, დიალოგი და მით უმეტეს, თანამშრომლობა თითქმის შეუძლებელია. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ შამა- ნაძის აზრით, „ჩვენთან ოპონირების, აზრთა ჭიდილისა თუ თავისუფალი კონსტრუქციის სივრცე დაბნობილია. როგორც შეიძლება დიალოგზე ლაპარაკი, როცა ოპოზიცია მმართველ ძალას მოლაღატედ, „რუსეთუმედ“, მტრად აღიქვამს. მეტიც, მათ ასეთი წარმოდგენა აქვთ „ოცნების“ მხარდამჭერებზეც“. თუმცა, შადიმან შამანაძე იმის გარკვე- ვასაც ცდილობს, საერთოდ არის თუ არა ქვეყანაში ნამდვილი ოპოზიცია. პუბლიცისტს, ნაციონალების მმართველობის პერიოდში, „ოცნების“ გამოჩენამდე, ოპოზიცია სამ კატეგო- რიად ჰყავდა დაყოფილი: „განადგურებული, მოსყიდული და მესამე — ხელისუფლების ხელდასხმული, ანუ ნამდვილი ოპოზიცია არ არსებობდა“.

დღეს არსებობს თუ არა რეალური ოპოზიცია? იმ მოთ- ხვნების გათვალისწინებით, რომელსაც ხსენებული პირები ზოგადად ოპოზიციურ ძალებს უყენებენ, პასუხი უარყოფი- თია. სამაგიეროდ, არსებობს არაერთი ძალა, რომელიც ხე- ლისუფლებაში მოსვლას სხვადასხვა, ზოგჯერ ქვეყნისთვის საზიანო მეთოდითაც ცდილობს. ამისთვის კი, ბიძინა ივანიშ-

ვილის აზრით, „სიცრუის მანქანასაც“ აქტიურად იყენებენ და ცდილობენ, ვითარება ისე წარმოაჩინონ, თითქოს ქვეყნის მომავლისთვის ხელისუფლების ცვლილება აუცილებელია, ამისთვის კი, დესტრუქციული ქმედებებიც გამართლებულია. ნათელა სახოკიას მიაჩნია, რომ ზოგადად, ძალაუფლების კენ სწრაფვა ადამიანური ვნებაა. „თუ დემოკრატიული ინსტი- ტუტები არ არის ძლიერი, ეს ცდუნება უფრო მარტივად ჩნდება“. ბიძინა ივანიშვილის აზრით კი დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობის შემთხვევაში, სხვადასხვა პოლი- ტიკური პარტია დესტრუქციული მეთოდებით ხელისუფლე- ბაში მოსვლას იმ შემთხვევაში ცდილობს, თუკი ამის შანსი არჩევნების გზით არ აქვს.

ლეგალურად თუ არალეგალურად ხელისუფლებაში მოს- ვლის გზაზე კი, ბიძინა ივანიშვილის შეფასებით, დღეს ოპო- ზიციური პარტიები უხეშ შეცდომებს უშვებენ. ერთ-ერთი მთავარი შეცდომა ისაა, რომ უმეტესად, პოლიტიკური ძალები ერთ კონკრეტულ პირზე არიან მორგებული. ასეთი იყო და დღესაც ასეთია ნაციონალური მოძრაობა, მიუხედავად იმისა, რომ „დღეს ეს ერთი კაცი, სააკაშვილი, აღარ არის ეფექტუ- რი. ერთ კაცზე მორგებული პარტიისგან, რაც მივიღეთ, დავინახეთ“. ივანიშვილის მტკიცებით, ერთ კაცზე ორიენ- ტირებულია თავისუფალი დემოკრატიებიც. ყოფილ პრემიერს დამადასტურებლად ის ფაქტი მოჰყავს, როცა თავდაცვის სამინისტროდან წასვლის შემდეგ, ირაკლი ალასანიას ქვეყნის მნიშვნელოვანი თანამდებობები მისმა თანაგუნდელებმაც დატოვეს. „თუ გავყვებით ქმედებებს, როგორ გამოეყენენ თავისუფალი დემოკრატიები კოალიციას, დასაბუთდება, რომ აქცენტი კეთდება ალასანიასზე, რომელიც მთელი გუნდის საზრუნავი გახდა. მათ ბევრი უხეში პოლიტიკური ნაბიჯი გადადგეს, პირველ რიგში, საკუთარი თავის საზი- ანოდ. როცა მერე მისი გუნდის წევრებმა თანამდებობები დატოვეს, ეს წინა პლანზე პირადი ინტერესებისა თუ ურ- თიერთობების დაყენება იყო. მაია ფანჯიკიძემ შეცდომა დაუშვა, ის „ოცნებიდან“ მოვიდა, ალასანიასთან კავშირის გამო არა, მაგრამ მან, ფაქტობრივად, გააფორმა ნეპოტიზ- მი... მათ ბევრი შეცდომა დაუშვეს. ჩემთვის ძალიან დიდი იმედგაცრუება იყო. ჩვენ ერთად ვიბრძოდით. ისინი, ერთი ერთზე იმეორებენ ნაციონალების ცულ პრაქტიკას“. ბიძინა ივანიშვილმა, იმაზეც მიაჩინა, რომ კოალიციიდან ალასა- ნიას გასვლა სპონტანურად არ მოხდა და ეჭვი, რომ იგი და- მოუკიდებლად აპირებდა ბრძოლას, „კაბელების საქმემდე“, ჯერ კიდევ მაშინ გაჩნდა, როცა პროკურატურა თავდაცვის სამინისტროში შევიდა, ალასანია კი, მინიშნებებს აკეთებდა, რომ მალე მისი პარტიის ყრილობა ჩატარდებოდა და თავისუ- ფალი დემოკრატიების თავმჯდომარე ისევ თავად იქნებოდა: „ეს ძალიან უხეში სვლა იყო. გაჩნდა ეჭვი, რომ ალასანია სამინისტროში მიმდინარე პროცესის პოლიტიზებას ცდი- ლობდა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ალასანიას ემი- ნოდ სიმართლის“.

ივანიშვილმა არც სხვა ოპოზიციური პარტიები დაივიწყა. მისი შეფასებით, მათ საერთო ის აქვთ, რომ არგუმენტების გარეშე, დაუსაბუთებლად „ამხელენ“ ხელისუფლებას რაღაც დარღვევებში და უუნაროს ეძახიან. ერთ დროს, ნაციონალებ- ბის მთავარმა ოპოზიციონერმა ოპოზიციას ზოგადი თეორი- ული მასტერკლასიც ჩაუტარა — არ ემსახურეთ სიცრუის მანქანას! იყავით კონსტრუქციულები! თავადაც აჩვენეთ საზოგადოებას განვითარების უკეთესი გზები! რამდენად იყენებდა ბრძოლის ამ მეთოდებს ოპოზიციამი ყოფნისას „ოცნება“, ეს საუბრის სხვა თემაა. იყო დრო, ბიძი- ნა ივანიშვილი ამბობდა, ოპოზიციის გაძლიერებას თავადაც შეეუწყობ ხელსო. ხელშეწყობაში დღეს ალბათ გამოცდი- ლენის გაზიარება იგულისხმება. გაითვალისწინებენ თუ არა ოპოზიტები ივანიშვილის რჩევებს, ჯერჯერობით, უცნობია. ისიც, დააოკებს თუ არა ქართულ პოლიტიკურ ტემპერამენტს, მაგალითად, „სიძულვილის ენის“ აკრძალვა ან მსგავსი რეგუ- ლაციები. დღეს ცოტა ძნელი წარმოსადგენია, „პოზიცია-ოპო- ზიციის“ ურთიერთობაში ლანძღვა-გინება და აგრესია გაქრეს. ეს ალბათ, მხოლოდ მაშინ მოხდება, თუკი პოლიტიკაში მყოფ ადამიანებს, როგორც ნათელა სახოკია ამბობს, „ზნეობრივი მოქალაქეობრივი ვალი შეანუხებს და გაიაზრებენ, რომ ხელი- სუფლების ეფექტურობისთვის, ქვეყნის განვითარებისთვის, ძლიერი ოპოზიციის არსებობა აუცილებელია.

პერსონალი

მთავარი პროკურატურა, მიხეილ სააკაშვილის ბრალთან დაკავშირებით, განსხვავებას აპრესლებს



დეპუტატ ვალერი გელაშვილზე თავდასხმის ფაქტზე მიხეილ სააკაშვილისთ- ვის ბრალად შერაცხული დანაშაულის კვალიფიკაციის სისწორეზე, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე პროკურატურა განმარტებას აკეთებს: „მიხეილ სააკაშვილს ბრალი წარდგენილი აქვს საქართველოს სისხ- ლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ჩადენას ძალადობითა და იარაღის გამოყენებით, რამაც ფიზიკური პირის უფლებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. ასევე, 25 და 117-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს ჯგუფურად ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ორგანიზებას, ესე იგი სხეულის დაზიანებას, რომელიც სახიფათო სიცოცხლისათვის და რომელმაც გამოიწვია სახის ნარეული დამახინჯება. დანაშაულის ჩადენის დროს, ანუ 2005 წლის 14 ივლისს მოქმედი კანონით ჯგუფურად ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება გათვალისწინებული იყო საქართველოს სისხ- ლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით, რომელიც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას ვადით 5-დან 12 წლამდე და განეკუთვნებოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას.

დღეს მოქმედი რედაქციით კი იგივე ქმედება გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, განეკუთვნება მძიმე დანაშაულთა კატეგორიას და ისჯება თავისუფლების აღკვეთით 7-დან 9 წლამდე ვადით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მესამე მუხლის თანახმად, კანონს რომელიც ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა და ვრცელდება წარსულში ჩადენილ დანაშაულებზე. აქედან გამომდინარე, ბრალდებულ მიხეილ სააკაშვილის მიმართ გამოყენებული იქნა დღეს მოქმედი კანონი, ვინაიდან როგორც ზემოთ აღნიშნა, 2005 წელს მოქმედი კანონი ჯგუფურად სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის სასჯელის სახით მაქსიმალურ ვადას აწესებდა თავისუფლების აღკვეთით, ხოლო ახალი კანონი ამ ქმედებისთვის სასჯელის მაქსიმალურ ვადას ამსუბუქებს და აწესებს თავისუფლების 9 წლამდე აღკვეთის სახით. ამდენად მიხეილ სააკაშვილს ბრალი წარდგენილი აქვს კანონის სრული დაცვით, სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციით და დაზუსტებას არ საჭიროებს. შესაბამისად აღნიშნული საკითხით სპეკულაცია მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს“.

„პირველი“



593-51-90-12

გიორგი რაუში, რომელიც ამჟამად პიცერია „ლოკალინოს“ დამფუძნებელია, ყოფილ პარტნიორს, ბეგი გელენიძეს საქართველოს მთავარ პროკურატურაში უჩივის. 2006-2010 წლებში ისინი პიცერია „ფანტასტიკოს“ დამფუძნებლები და შპს „ფანტასტიკოს“ თანაბარი წილის მფლობელები იყვნენ. 2010 წლამდე გიორგი რაუში ეჭვი არ შეპარვია, რომ პარტნიორი კეთილსინდისიერად მუშაობდა, თუმცა მოგვიანებით, გარკვევა, რომ ბეგი გელენიძე, რომელიც იმავდროულად, ნაციონალური მოძრაობის გლდანის რაიონის საარჩევნო შტაბის უფროსი იყო, არა მარტო მას, სახელმწიფოსაც ატყუებდა. მთლიანობაში, დამალული გადასახადების სახით, სახელმწიფო 4 მილიონით, ხოლო გიორგი რაუში 1 მილიონი ლარით დაზარალდა. ამჟამად საქმეს მთავარი პროკურატურა იძიებს, მაგრამ გიორგი რაუში და მისი ადვოკატი ლაშა გოგიჩაიშვილი „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში აცხადებენ, რომ გამოიძიება ხელოვნურად ჯანჯღღდება.

როგორ შეიქმნა პიცერია „ფანტასტიკოს“

ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობის გამო, 2006 წლამდე, გიორგი რაუში (ჯუხარაშვილი) გერმანიაში მოღვაწეობდა, სადაც 10 წელი ცხოვრობდა. პერიოდულად, საქართველოშიც ჩამოდიოდა და ერთ-ერთი ვიზიტის დროს, ყოფილ კლასელს, ბეგი გელენიძეს შეხვდა. გელენიძემ რაუშს აუხსნა, რომ საქართველოში ბიზნესი ყველის და გერმანიიდან დაბრუნება შესაძლებელია. ის მართლაც ჩამოვიდა და 2006 წელს პიცერიის გახსნა გადაწყვიტა. პარტნიორებმა თბილისის პრეს-ტიუტორ უბანში, ვაკეში, ნაფარეულის ქუჩა 3ა-ში ფართი იჯარით აიღეს და მესაკუთრე არჩილ ნემსაძესთან შესაბამისი ხელშეკრულება გააფორმეს. 2006 წლის დეკემბრიდან პიცერია „ფანტასტიკოს“ ამუშავდა. იმის გამო, რომ 10 წელი გიორგი რაუში გერმანიაში ამ ბიზნესთან იყო დაკავშირებული, კარგად იცოდა, როგორ აემუშავებინა პიცერია და ექსკლუზიურად, იტალიურ რეცეპტებსაც ფლობდა, პარტნიორებს შორის ფუნქციები ასე განაწილდა: რაუში ინგრედიენტებს ამზადებდა, პერსონალს იტალიურ რეცეპტებს ასწავლიდა და საზოგადოებასთან, ანუ კლიენტებთან ურთიერთობდა, ხოლო ბეგი გელენიძის ფუნქციაში ფინანსური მხარე, ბუღალტერია, მომარაგება და საჭირო პერსონალის დაქირავება შედიოდა. შესაბამისად, მომარაგებლები, მოლარეები და ფინანსური მენეჯერებიც ბეგი გელენიძემ აიყვანა სამსახურში.

გიორგი რაუში პიცერიის ფინანსურ საქმიანობაში არ ერეოდა, რადგან ბუღალტერია არ იცოდა. „ფანტასტიკოს“ უამრავი კლიენტი ჰყავდა, მათ შორის საზოგადოებრივი ცნობილი პირები. ბეგი გელენიძეს სურვილი გაუჩნდა, „ფანტასტიკოს“ კიდევ ერთი ფილიალი გაეხსნათ, პარტნიორებმა ბანკიდან კრედიტი აიღეს და ფართი ამჯერად საბურთალოს რაიონში, ყაზბეგის 14ა-ში იქირავეს. ორივე ობიექტი კარგად მუშაობდა და სოლიდური შემოსავალიც ჰქონდა, მაგრამ ბეგი გელენიძე პარტნიორთან უკმაყოფილებას არ მალავდა. ეუბნებოდა, რომ პიცერიას არც ისე დიდი შემოსავალი ჰქონდა და თითქმის მოგებას ბანკის კრედიტში იხდიდა. 2007 წლიდან გიორგი რაუშს ყოველთვიურად, მხოლოდ 3 000 ლარს უხდოდა. 2010 წელს, კულტურის სფეროს საკმაოდ ცნობილი ნარმომადგენელია, გიორგი რაუშს შესთავაზა, ქობულეთში, ზაფხულის სეზონზე, კლუბი „ბუმერანგი“ გაეხსნა. ამ კლუბში 35%-იან წილს გიორგი რაუში, 35%-ს ბეგი გელენიძე, ხოლო დარჩენილ 30%-ს მათი პარტნიორები, კულტურის სფეროს ცნობილი ნარმომადგენლები ფლობდნენ. „ბუმერანგი“ მართლაც კარგად მუშაობდა, 2 500 კაცზე იყო გათვლილი და მთელი სეზონის განმავლობაში, ყოველ საღამოს ხალხმრავლობით გამოირჩეოდა. იმ პერიოდში, მრავალი საინტერესო კონცერტი და საღამო გაიმართა, კლუბის შესასვლელში კი საღარო-ჯიხური იდგა, სადაც ბილეთები იყიდებოდა. უკმაყოფილება მას შემდეგ გაჩნდა, რაც ბეგი გელენიძემ საღარო-ჯიხურის მოშლა გადაწყვიტა, რადგან შემოსავლის ოფიციალურად დაფიქსირება არ უნდოდა. სწორედ მაშინ მიხვდა გიორგი რაუში, რომ პარტნიორი ატყუებდა და „ბუმერანგის“ დახურვა გადაწყვიტა. დავაში ბეგი გელენიძის ძმა, ბესოც ჩაერთო, რომელიც ადრე გურიის სამხარეო საპატრულო სამმართველოს უფროსის მოადგილე იყო. იმ დროს ამ თანამდებობაზე აღარ მუშაობდა, მაგრამ მაინც კადრების დაქვემდებარებაში ითვლებოდა. ბეგი გელენიძემ გიორგი რაუშს „ბუმერანგის“ დახურვა არ აპატია. დავა რომ არ გამწვავებულიყო და ხელჩართულ დაპირისპირებაში არ გადაზრდილიყო, გიორგი რაუში პარტნიორს ცივილურად დამორდა, თუმცა ადვოკატი აიყვანა.

რა თაღლითური საქმით ნაართვა რაუშს პიცერია გელენიძე

2010 წელს, ოფიციალურად, დოკუმენტების მიხედვით, გიორგი რაუში ისევ შპს „ფანტასტიკოს“ ერთ-ერთ დამფუძნებელად ითვლებოდა, რადგან მუქარის მიუხედავად, ბეგი გელენიძე პარტნიორისგან ასე ადვილად თავს ვერ დაიხსნოდა. „ბუმერანგი“ დაიხურა, მაგრამ როდესაც რაუშმა საღარო აპარატი მოითხოვა, გელენიძემ განუცხადა, დაეკარგო. მეტიც, ამ კლუბში 30%-იანი წილის მფლობელ პარტნიორებს გელენიძე ფიზიკური მოსპობითაც დაემუქრა. საღარო აპარატისა და შემოსავლების დამაპოვებელი შემდეგ, გიორგი რაუში დაეჭვდა, რომ „ბუმერანგის“ მსგავსად, შესაძლოა, ბეგი გელენიძე შპს „ფანტასტიკოს“ რეალურ მოგებასა და შემოსავლებსაც მალავდა.

თაღლითური საქმა, როგლითას მენარმეს პიცერია ნართვას

„ლოკალინოს“ დამფუძნებელი გიორგი რაუში ყოფილ პარტნიორს უჩივის



ეჭვი კიდევ ერთმა ფაქტმა გაამძაფრა — ბეგი გელენიძემ, რომელსაც „ფანტასტიკოს“ გარდა, სხვა ბიზნესი არ ჰქონდა, იმ პერიოდში ორი ბინა და ძვირადღირებული ავტომობილი შეიძინა. ამჟამად იყო, გელენიძე პარტნიორს ატყუებდა და გიორგი რაუშმა დოკუმენტების შესწავლა მოითხოვა. გელენიძემ აუხსნა, რომ დოკუმენტებს ვერ წარუდგენდა, რადგან აუდიტორული შემოწმება მიმდინარეობდა, თუმცა დაპირდა, დივიდენდებსა და მოგებას წლის ბოლოს გადაუხდოდა. 2010-2011 წლებში, პარტნიორებს შორის დავა მიმდინარეობდა, ბეგი გელენიძე აცხადებდა, რომ პიცერია ნაგებზე მუშაობდა, რაუშს კი ბიზნესის გაყიდვასა და კუთვნილი წილის დაბრუნებას პირდებოდა. პარტნიორებს შორის მოლაპარაკება რამდენჯერმე უშედეგოდ შედგა. 2011 წლის აგვისტოში ვითარება გამწვავდა, რაუში გელენიძეს შეხვდა, ამ უკანასკნელმა კიდევ ერთხელ უთხრა, რომ ბიზნესს გაყიდდა და სთხოვა, ოქტომბრამდე მოეცადა, თუმცა ისევ უშედეგოდ. ნოემბრის დასაწყისში, გიორგი რაუშმა შემთხვევით, საჯარო რეესტრის ამონაწერი განახალა და ნახა, რომ შპს „ფანტასტიკოს“ ბეგი გელენიძის მეუღლის, რუსუდან ბერიაშვილის სახელზე იყო გაფორმებული.

გიორგი რაუშის ადვოკატმა, ლაშა გოგიჩაიშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ პირველ რიგში სასამართლოს მიმართეს, რათა გაერკვირათ, რის საფუძველზე გადაფორმდა შპს „ფანტასტიკოს“ გელენიძის მეუღლის სახელზე. იმის გამო, რომ რაუშს შპს-თან ოფიციალურად აღარაფერი აკავშირებდა, სასამართლომ მათი თხოვნა არ დააკმაყოფილა. ამის შემდეგ, რაუშმა და მისმა ადვოკატმა აღმასრულებლის საშუალებით გაარკვიეს, რომ რუსუდან ბერიაშვილმა პიცერია აუქციონზე იყიდა: „აღმასრულებელმა ისიც გვითხრა, რომ დიდი ხანია, ეძებდა გიორგი რაუშს, რომელსაც შპს „ფანტასტიკოს“ მიმართ 100 000 ლარის დავალიანება ჰქონდა, რაც სრული აბსურდი იყო. გავარკვიეთ, რომ თურმე, შპს „ფანტასტიკოს“ ბეგი გელენიძის ვალი ჰქონდა და აუქციონზე ამიტომ გაიყიდა. სინამდვილეში, როდესაც შპს-ს დამფუძნებლებმა ბანკიდან კრედიტი აიღეს, მის უზრუნველყოფად გელენიძის ბინა ჩადეს. ეს სააღსრულებო საქმის დოკუმენტებში, სესხის ხელშეკრულებაზე აღმოჩნდა, სადაც მითითებული იყო, რომ ფიზიკურმა პირმა, ბეგი გელენიძემ შპს „ფანტასტიკოს“ 160 000 ლარის ოდენობის სესხი გადასცა.

2011 წელს, ფიზიკურმა პირმა ბეგი გელენიძემ, შპს „ფანტასტიკოს“ წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა და თანხის დაბრუნება მოითხოვა. ამის შესახებ, ფიზიკურმა პირმა ბეგი გელენიძემ „ფანტასტიკოს“ დირექტორ ბეგი გელენიძეს „შეატყობინა“ და იმის გამო, რომ ამ შეტყობინებას „რეაგირება“ არ მოჰყოლია, სასამართლოს მიმართა თხოვნით, დავალიანება „ფანტასტიკოს“ გადაეხადა. „ფანტასტიკოს“ დირექტორმა, ბეგი გელენიძემ ბუღალტერ ლია ილიურიძეს რწმუნებულება გადასცა, რომელიც სასამართლოში წარმომადგენლად გამოვიდა და შპს-ს ვალი აღიარა. ვალის აღიარების შემდეგ საქმეში აღსრულების ეროვნული ბიურო ჩაერთო. ცხადია, ეს ყველაფერი გიორგი რაუშს უნდა სცოდნოდა, მაგრამ ბეგი გელენიძემ შეგნებულად არ შეატყობინა. ორი თვის განმავლობაში ეძებდა აღმასრულებელი გიორგი რაუშს, მაგრამ უშედეგოდ. ამის შემდეგ შპს „ფანტასტიკოს“ ქონება აუქციონზე გაიტანეს, რომელიც ბეგი გელენიძის მეუღლემ, რუსუდან ბერიაშვილმა შეიძინა.

ლაშა გოგიჩაიშვილი გვიამბობს, რომ მას შემდეგ, რაც აღმასრულებელმა გიორგი რაუშს დოკუმენტები გადასცა, ახალი გარემოებების გამო, ეს გადაწყვეტილება სამოქალაქო წესით გაასაჩივრეს. საჩივარი ფინანსთა სამინისტროს საგამომძიებო სამსახურშიც შეიტანეს, რასაც რეაგირება მალევე მოჰყვა და 2012 წლის იანვარში გიორგი რაუში და მისი ადვოკატი ლაშა გოგიჩაიშვილი დაკითხვაზე დაიბარეს:

„სასამართლო დავა „ფანტასტიკოს“ პერსონალს შორისაც გახმაურდა. ერთ-ერთი მენეჯერი, ბეგი გელენიძის შვილის ნათლია იყო, რომელიც გიორგის მიმართ ნეგატიურად იყო განწყობილი. აღმოჩნდა, რომ გელენიძე საკუთარ ნათესავებსა და ახლობლებსაც ცუდად ექცეოდა, ხელფასს არ უხდოდა. ერთ დღეს, გელენიძის შვილის ნათლია გიორგი რაუშთან მივიდა და უთხრა, რომ ის 3 000 ლარი, რასაც ყოველთვიურად უხდებოდა, იმის შეათვლიდა კი არ იყო, რაც რეალურად უნდა მიეღო. „შავი ბუღალტერის“ ფინანსური დოკუმენტაცია სწორედ გელენიძის შვილის ნათლიას ჰქონდა, რომელიც გიორგი რაუშს გადასცა. ეს იყო რეალური ნავაჭრის ფინანსური დოკუმენტი, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი ის მოგება, რასაც ბეგი გელენიძე სახელმწიფოსა და გიორგი რაუშს უმალავდა.“

დასასრული მე-8 გვერდზე

პარსიანი

ჩინეთის პროვინცია ქართული ღვინის ექსპორტის პ-ჯერ გაზრდას გეგმავს



და ქართული ღვინის ისტორიულ-კულტურულ უნიკალობასა და ჩინეთის ბაზრის მნიშვნელობაზე ესაუბრა, ხაზი გაუსვა მასპინძელი კომპანიის ღვანლს ქართული ღვინისა და კულტურის პოპულარიზაციისა საქმესა და იმპორტის გაზრდის მიზნით, წარმომადგენელი ბიზნეს, მარკეტინგული და სოციალური პროექტების განხორციელებაში. ვიზიტის ფარგლებში სააგენტოს წარმომადგენელი გაეცნო მასპინძელი კომპანიის მიერ განხორციელებულ წარმატებულ ბიზნესპროექტებს — ქართული ღვინის კლუბი, ქართული ღვინის სალონი, ქართული ღვინის მალაზიები და ქართული ღვინის ოფისები.

ჩინეთის სინძიანის პროვინციის ერთ-ერთი მსხვილი იმპორტიორი კომპანია (Xinjiang Beifangjianda Trade Co. Ltd) წელს საქართველოდან ნახევარი მილიონი ბოთლი ქართული ღვინის იმპორტს გეგმავს, რაც ამ პროვინციაში შარშანდელ გაყიდვებს 3-ჯერ აღემატება.

ამის შესახებ ცნობილი გახდა ჩინეთში ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლის, მაია ციტიშვილის სინძიანის პროვინციის ქალაქ ურუმჩიში საქმიანი ვიზიტის შედეგად, სადაც ზემოთ აღნიშნული იმპორტიორი კომპანიის ხელმძღვანელებთან (Tong JianSheng, Maofeng) გაიმართა შეხვედრა.

მასპინძელი კომპანიის ორგანიზებით, ურუმჩის ქართული ღვინის კლუბში მაია ციტიშვილი შეხვდა ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებს და ქართული ღვინის ისტორიულ-კულტურულ უნიკალობასა და ჩინეთის ბაზრის მნიშვნელობაზე ესაუბრა, ხაზი გაუსვა მასპინძელი კომპანიის ღვანლს ქართული ღვინისა და კულტურის პოპულარიზაციისა საქმესა და იმპორტის გაზრდის მიზნით, წარმომადგენელი ბიზნეს, მარკეტინგული და სოციალური პროექტების განხორციელებაში. ვიზიტის ფარგლებში სააგენტოს წარმომადგენელი გაეცნო მასპინძელი კომპანიის მიერ განხორციელებულ წარმატებულ ბიზნესპროექტებს — ქართული ღვინის კლუბი, ქართული ღვინის სალონი, ქართული ღვინის მალაზიები და ქართული ღვინის ოფისები.

„ეს არის საუკეთესო ბიზნესმოდელი, როგორ უნდა შევთავაზოთ ჩინეთის ცალკეული პროვინციების მოსახლეობას ქართული ღვინო. სინძიანის პროვინციაში, კერძოდ ქალაქ ურუმჩისა და ხორგოსში ქართული ღვინო პოპულარულია და მასზე მოთხოვნა მზარდია, რაც აღნიშნული კომპანიის დამსახურებაა. ეს პარტნიორობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენს ქვეყნებს შორის ხელშეწყობილი აბრეშუმის გზის პროექტის ფარგლებში“, — აღნიშნა მაია ციტიშვილმა.

კომპანია ქალაქ ხორგოსში (თავისუფალი ეკონომიკური ზონა ყაზახეთის საზღვართან) ჩინეთისა და ყაზახეთის საერთაშორისო სავაჭრო ცენტრში 400 კვ.მ-ზე ქართული ღვინის სავაჭრო ცენტრის გაკეთებას გეგმავს, სადაც პროდუქციის გაყიდვასთან ერთად, მოეწყობა ქართული ღვინის დეგუსტაცია-ექსპოზიციები. ქალაქ ხორგოსის ცენტრალურ ქუჩაზეც გაიხსნება ქართული ღვინის მალაზია. კომპანია ასევე აწყობს ღვინის ტურებს საქართველოში, რომლის ფარგლებშიც 500-მა ჩინელმა მოინახულა საქართველო. ინფორმაციისთვის, აღნიშნულ სავაჭრო ცენტრში შუა აზიის 16 ქვეყნის წარმომადგენლობა განთავსებული და ტერიტორიაში 2 400 მალაზია ფუნქციონირებს. მომდევნო წელს სავაჭრო ცენტრში 10,000 მალაზია, 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო და რესტორნების ქუჩები ამუშავდება. ასეთ აქტიურ ზონაში ქართული ღვინის სავაჭრო ცენტრის არსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩინეთში სინძიანის პროვინციის 21 მლნ მოსახლეობაში ქართული ღვინის გაყიდვისა და მისი პოპულარიზაციისთვის. მიმდინარე წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, ჩინეთში საქართველოდან ექსპორტირებულია 364 778 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 64%-ით აღემატება შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელს.

„პირველი“

ლაითურის მოსახლეობა თბილისში აქსიითა და სოფლის მიჯოვებით იმუქრება

„თუ მინა არ მაქვს, გზა და წყადი, რა აზრი აქვს აქ ცხოვრებას?“

გიორგი სირაძე

„ვარსიისთვის“ გურიიდან

ლაითურის მოსახლეობა მინის ნაკვეთებს ითხოვს. დაბაში 1 250 კომლი ცხოვრობს, მათგან 470 აჭარის მალაქთიანეთიდანაა ჩასახლებული. მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა. საუბარია 160 ჰექტარ მინის ფართობზე, რომელსაც 2 კერძო კომპანია — „გეო პლანტი“ და „ვან რიკი“ 2007 წლამდე იჯარით ფლობდნენ. შემდეგ, მოსახლეობის თქმით, 1 კვ/მ 35 თეთრად შეიძინეს, ახლა კი „ვან რიკი“ 1 კვ/მ-ს 55-ად, ხოლო „გეო პლანტი“ 47 თეთრად ყიდის.

ადგილობრივები ამბობენ, რომ ამ თანხის გადახდას ვერ შეძლებენ. „ვან რიკის“ საკუთრებაში არსებული ტერიტორიების ნაწილი მოსახლეობამ თვითნებურად შეღობა, რასაც დაპირისპირება მოჰყვა. ხალხი აცხადებს, თუ ჩვენ მოთხოვნებზე ადგილობრივი ხელისუფლება შესაბამის რეაგირებას

არ მოახდენს, მომდევნო აქციას დედაქალაქში, კანცელარიასთან გავმართავთ.

„უმწვავესი პრობლემის წინაშე დგას სოფელი ლაითური, სასოფლო სამეურნეო მიწები მოსახლეობას არ აქვს დარეგისტრირებული კერძო საკუთრებაში. მინები გაცემულია უმოქმედო ინვესტორზე — შპს „გეოპლანტი ჯგუფის“ ხელმძღვანელ ვასილ ბლაგიძეზე, რომლის უკანაც გოგი ცეცხლაძე დგას. ამ ადამიანებმა 7 თეთრად შეიძინეს ერთი კვადრატული მეტრი მინა, რომელიც გაუვალ ტყედაა ქცეული. კომპანია „გეო პლანტი“ ჯგუფის წარმომადგენლებმა გაჩეხეს თავის ფართობებთან არსებული ქარსაფარი ტყის ზოლები, რომელზეც რეაგირება არავის მოუხდენია. თუ არ დაგვეხმარებიან და მინას არ დაგვიბრუნებენ, საერთოდ დავტოვებთ ლაითურს. თუ მინა არ მაქვს, გზა და წყალი, რა აზრი აქვს აქ ცხოვრებას? ვნახავთ, რას გააკეთებს ადგილობრივი ხელისუფლება, მერე თბილისში ჩავალთ და იქ დავდგებით კანცელარიასთან“, — აცხადებენ ადგილობრივები.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩვენი უფლებებისათვის“ თავმჯდომარე **თამაზ ბაკურიძე** აქციაზე იმყოფებოდა. მისი თქმით, მოსახლეობა სოფელში შექმნილ გაუსაძლის მდგომარეობას აპროტესტებს: „ამ სოფელში დაახლოებით 500 კომლი ეკომიგრანტი ოჯახია აჭარიდან ჩამოსახლებული. ეს ხალხი არენდით ქირობდა შევარდნაძის დროს სხვადასხვა პირების მიერ მიტაცებულ მიწას. თავის დროზე, მათ უთხრეს, რომ მინაზე არენდის მაქსიმალური ფასი 35 თეთრი იქნებოდა, მაგრამ მესაკუთრეებმა ფასი ერთ კვადრატულ მეტრზე, 55 თეთრამდე ანიეს. ხალხი ამბობს, რომ თანხას ვერ გადაიხდის“.

თამაზ ბაკურიძის ინფორმაციით, გუბერნატორი გასულ კვირას მივიდა სოფელში და მოსახლეობას პრობლემების მოგვარებას დაჰპირდა, მაგრამ მდგომარეობა არ შეცვლილა: „თუ ხელისუფლება ამ ადამიანებს ყურადღებას არ მიაქცევს, ისინი პროტესტის რადიკალურ ფორმას მიმართავენ.“



ვეფირობ, მოქმედმა ხელისუფლებამ უნდა გამოიძიოს, თავის დროზე რამდენად კანონიერად გასხვისდა ეს მინები. ხელისუფლება ამბობს, რომ მინის მეპატრონე კერძო კომპანია და პირია. ფაქტია, ხალხი ითხოვს ხელისუფლების ჩარევას და საკითხის ისე მოგვარებას, რომ არც ერთი მხარე არ დაზარალდეს“.

კომპანიებსა და მოსახლეობას შორის „მომრიგებლის“ როლს გურიის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი **ქატი მოინსრაფიშვილი** ასრულებს. მისი განმარტებით, მინის გაიფხვინა და გადასახადის რამდენიმე წელზე გადასახადის შესახებ მოლაპარაკებები მიმდინარეობს: „დაბა ლაითურის მოსახლეობას რამდენჯერმე შევხვდი, ვიცი მათი სატიკვარი. ადგილობრივმა ხელისუფლებამ კომპანია „გეოპლანტი“ ინტენსიური მოლაპარაკებები აწარმოა, რამაც შედეგი გამოიღო. „გეოპლანტის“ წარმომადგენლები, მინის შესყიდვის მსურველებთან ინდივიდუალურად გააფორმებენ ხელშეკრულებებს. შედეგება სპეციალური გრაფიკი და დაბის მოსახლეობა კერძო კომპანიას მინის გამოსასყიდს ნაწილ-ნაწილ გადაუხდის — თანხის სრული დაფარვა 2016 წლის სექტემბრამდე შეეძლება“.



რიკოთის გვირაბი მოძრაობა 21, 22 და 23 აპრილს 10:00-დან 20:00 საათამდე იზღუდება

ტრანსპორტი რიკოთის საავტომობილო გვირაბის შემვლით გზაზე იმოდრავებს. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 143-ე კმ-ში, რიკოთის საავტომობილო გვირაბში ელექტრო-მექანიკური სისტემების ტესტირების სამუშაოებთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის 21, 22 და 23 აპრილს, 10:00-დან 20:00 საათამდე გვირაბში იკრძალება ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა, ხოლო დღე-ღამის დანარჩენ პერიოდში მოძრაობა თავისუფალია. ტრანსპორტი რიკოთის საავტომობილო გვირაბის შემვლით გზაზე იმოდრავებს, კლიმატური პირობების გაუარესების შემთხვევაში, გვირაბის გავლით. დროის ამ პერიოდში რიკოთის გვირაბის შემვლით გზაზე 2 სხვადასხვა ადგილას იმორიგეებს საბუქსირე მექანიზმში. რიკოთის საავტომობილო გვირაბში მოძრაობის ჩაკეტვა და საავტომობილო გვირაბის შემოსავლელ გზაზე სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობის გადართვა განხორციელდება თანდაართული დროებითი მოძრაობის ორგანიზაციის სქემების შესაბამისად.

„პირველი“



დავნილავი ქობულეთი მიჯოვებულ შენობაში შეიჭრნენ

ქობულეთში, ყოფილი ბავშვთა საავადმყოფოს შენობაში აფხაზეთიდან დევნილი სოციალურად დაუცველი მოსახლეობა შეიჭრა. 20-მდე ოჯახი სახელმწიფოს აღნიშნული ფართის დაკანონებას ან სხვა ალტერნატიული საცხოვრებლის გამოყოფას სთხოვს. ერთ-ერთი სოციალურად დაუცველი, თამუნა დოლბაია განმარტავს, რომ ბინის ქირის გადახდის საშუალება აღარ აქვს და ორი მცირეწლოვანი ბავშვით ქუჩაში ცხოვრობს: „შევედით შენობაში და გვიანდა ამ ფართის დაკანონება. თუკი ამ შენობას ვერ დავიკანონებენ, გამოგვინახონ ალტერნატივა. აქ ვართ სოციალურად დაუცველები, დევნილები, რომელთა ნაწილს კომპენსაცია აქვს, მაგრამ უმძიმესი სოციალური პირობების გამო, სხვა გამოსავალი აღარ დავგონებ“.

„ინტერპრესნიუსი“

აქსელუნივი თაღლითური სქემა, რომლითაც ბენარეუს პიხარია წაართვეს

მე-7 გვერდიდან

სისხლიანი ბარჩევა გლდანში

სასამართლოში განცხადების შეტანის შემდეგ, 2012 წლის 27 თებერვალს, გლდანში მხარეებს შორის ორმხრივი სროლა ატყდა, რასაც სისხლიანი დაპირისპირება მოჰყვა. მიძიდ დაჭრილი ორი პირი ლუდუშუარის სახელობის კლინიკაში გადაიყვანეს. გიორგი რაუში გვიამბობს, რომ ბეგი გელენიძის მითითებით, ქუჩის ავტორიტეტები მის ბავშვობის მეგობარს დაუკავშირდნენ და უთხრეს, რომ რაუში ჩამშვები და ცუდი კაცია. გიორგის მეგობარი ამ პირებს შეხვდა, რათა გაერკვია, რა ხდებოდა: „შეხვედრამდე შეთანხმდნენ, მაგრამ გელენიძის დაქირავებული ქუჩის ავტორიტეტები ჩემს მეგობარს ქუჩაში დახვდნენ და ფიზიკურად გაუსწორდნენ. სამწუხაროდ, ამის შესახებ არაფერი ვიცოდი, მხოლოდ მოგვიანებით შევიტყვე. ჩემი მეგობრის ცემას არ დასჯერდნენ და ვითარება ისე გაამწვავეს, კიდევ ერთხელ მიაკითხეს. ამ დროს უკვე ჩემი მეგობრის ძმებიც ჩაერთვნენ, სულ ოთხი არიან, ქუჩის ავტორიტეტებმა ერთ-ერთი ძმა დაჭრეს, თავზე იარაღი დაადეს, რათა საკონტროლო გასროლით მოეკლათ, თუმცა იარაღი ტყვია აღარ აღმოჩნდა და არ გავარდა. ერთ-ერთმა ძმამ, სახლიდან დანა გამოიტანა და თავდასხმელი დაჭრა. მოკლედ, ამ შეტაკებისას სამი ადამიანი დაიჭრა, ერთი თავდასხმელი და ჩემი მეგობრის ორი ძმა“.

თავდასხმელი სისხლის სამართლის 109-ე, ხოლო გიორგი რაუშის მეგობრის ძმები 108-ე მუხლით გაასამართლეს, რაც საბოლოოდ, საპროცესო გარიგებით დასრულდა. ლაშა გოგიჩაიშვილის განცხადებით, ამ სისხლიანი შეტაკების ერთადერთი მიზეზი იყო, დაედგინებინათ, თითქოს გიორგი რაუშმა სამენარემო დავაში ქუჩის ავტორიტეტები ჩართო.

2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ გიორგი რაუშმა პროკურატურას ბეგი გელენიძის ქონების დაყადაღების თხოვნით მიმართა. პროკურატურამ ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა და გელენიძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება დააყადაღა. 2013 წელს საქმე თბილისის პროკურატურის ანტიკოორუფციულ სამსახურს გადაეცა. ანტიკოორუფციულ რაუში და მისი ადვოკატი დაიბარეს და სარჩელის გატანა სთხოვეს.

ლაშა გოგიჩაიშვილი: „მივხვდით, რომ ახალი ხელისუფლების პირობებშიც, ბეგი გელენიძეს მფარველობენ, რადგან საჩივრის გატანა სააკაშვილის ხელისუფლების დროსაც კი არ მოუთხოვიათ. საქმის მასალებიდან აშკარაა, ბეგი გელენიძემ მიიღო რაუშს შპს „ფანტასტიკოს“ ქონება გამოსძალა, მიითვისა და გაფლანგა, რაც თაღლითობის ჩვეულებრივი სქემაა. თბილისის პროკურატურის ანტიკოორუფციული დეპარტამენტის გაუქმების შემდეგ, 2013 წლის ბოლოს, ეს საქმე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში დაბრუნდა. ბეგი გელენიძემ სახელმწიფოს

4 მილიონი ლარი დაუმაღა, მაგრამ პროკურატურამ გვითხრა, რომ ამ საქმეში, დიდი ოდენობით თანხის მითვისებისა და გაფლანგვის ფაქტს ვერ ხედავდა. სარჩელი მთავარ პროკურატურაშიც შევიტანეთ, საქმეზე ახალი გამოძიებელი დანიშნა, რომელმაც ინტენსიური სამუშაო ჩაატარა, რაც ამ ნუბის განმავლობაში არ მომხდარა. დღეს ეს გამოძიებელი საქმეს აღარ უძღვება, მან მართლაც სერიოზულად იშრომა, მაგრამ მთავარი პროკურატურა ჩვენს საქმეს ხელსაყრელად აჭიანურებს“.

ზინ არიან ბები გელენიძის მფარველები?

ლაშა გოგიჩაიშვილი გვიამბობს, რომ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების დროს ბეგი გელენიძე ამ პარტიის საარჩევნო შტაბის უფროსი იყო გლდანში. ადვოკატი ეჭვობს, რომ ბეგი გელენიძეს მისი ძმა, ბესო გელენიძეც მფარველობს, რომელიც ამჟამად გარემოს დაცვის ინსპექციის ზედამხედველობის სამსახურის უფროსია საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ბესო და ბეგი გელენიძეები, შინაგან საქმეთა ექსპრინისტრის, ვანო მერაბიშვილის მეუღლის, თაკო სალაყაიას ახლობლები იყვნენ. ლაშა გოგიჩაიშვილი: „დღევანდელ მმართველ შტოებში, პროკურატურასა და სხვადასხვა უწყებაში ჯერ კიდევ მუშაობენ ადამიანები, რომლებიც გარკვეული გავლენით სარგებლობენ, ხელოვნურად აჭიანურებენ და აფერხებენ სასამართლო პროცესს. ეს ფაქტები ან პროკურატურის უსუსურობაზე მიუთითებს, ან აშკარაა, რომ კონკრეტული პირების ზეგავლენის ქვეშ მოექცნენ, თორემ საქმეში გამოსაძიებელი აღარაფერია. ფაქტია, ბეგი გელენიძემ სახელმწიფოს განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხა დაუმაღა და ეს ოფიციალურად, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმაც აღიარა. რადგან საქმე ჯანჯღლდება, აშკარაა, პროკურატურა იცავს ბეგი გელენიძის ოჯახს, რომელიც მჭიდროდა დაკავშირებული ნაციონალურ მოძრაობასა და სამართალდამცავ სტრუქტურებში დღეს დარჩენილ ძველ კადრებთანაც“.

ადვოკატი გვიამბობს, რომ ბეგი გელენიძემ სასამართლოს გადაწყვეტილება, ქონების დაყადაღებასთან დაკავშირებით, ფინანსთა სამინისტროს დავეთხრა განხილვის საბჭოში გაასაჩივრა, თუმცა უშედეგოდ. ლაშა გოგიჩაიშვილი განმარტავს, რომ ამით, ფინანსთა სამინისტროს დავეთხრა განხილვის საბჭომ გელენიძის მიერ სახელმწიფოსთვის დამალული გადასახადი ოფიციალურად აღიარა. ეს საკმაოდ სერიოზული გადაწყვეტილებაა და შესაბამისი სამართლებრივი პროცედურა ახლავს: დავეთხრა განხილვის საბჭოს გადაწყვეტილებების შემდეგ, პირმა დავალიანება 45 დღის ვადაში უნდა დაფაროს, თუ არადა, მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა უნდა დაიწყოს. ლაშა გოგიჩაიშვილი აგვიხსნა, რომ 45-დღიანი ვადა 2014 წლის დეკემბრის ბოლოს გავიდა.

შიშველი შავკანიანი კანადელი ზონაზე

რაც დავა კამერების წინ გაბთიდი და რაც მოითხოვს „უდო“-თი გამოშვება გოლიათმა სამსონამ



პატიმარი №0578

საქართველოში ციხე „კანონიერი ქურდების“ იყო. მას შემდეგ კი, რაც „ქურდები“ სასჯელაღსრულების დაწესებულებებს მოაშორეს და ე.წ. კრიტიკით შეყარეს, ზონაზე ე.წ. მათემატიკური „გულაობენ“, თუმცა ყველა აღიარებს, რომ მათი გავლენა ახლოსაა ვერ მივა იმასთან, რაც ქურდებს ჰქონდათ. ამის მიუხედავად, მათემატიკური ზონაზე ქურდიც არის და მამასახლისიც, ყველაფერს წყვეტს და ანაწილებს „ობშიაკს“; უფრო ზუსტად, „ობშიაკს“ მიმართულებას აძლევს...

აი, საზღვარგარეთ კი სხვაგვარადაა. პოსტსაბჭოთა სივრცის გარდა, „კანონიერი ქურდებს“ მხოლოდ რამდენიმე ქვეყნის კრიმინალები აღიარებენ და ისიც, უმთავრესად, იმ ქვეყნებში, სადაც სოციალისტური გავლენა იყო. ბულგარეთი, პოლონეთი, ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნები... იტალია მაფიოზებისაა, დანარჩენი სამყარო კი ნარკოტიკებით მოვაჭრეებისა ანუ „ბარიგების“. არადა, ჩვენთან „ბარიგა“ შავ დღეშია — ციხეში მოხვედრის შემდეგ, მას „კაბიჭები“ წველიან, ფულს აწერენ და პრაქტიკულად, უფლებიან...

რუსეთის №17 ზონაზე სასჯელს არაერთი უცხოელი იხდიდა. ძირითადად თურქები იყვნენ, მაგრამ პატიმრებს არც ინდუსი, შვეიცარელი, ჩინელი და თქვენ ნარმოიდგინეთ, ფრანგი თუ კანადელი პატიმრები უკვირდათ. ყველაზე გამორჩეული მაინც კანადელი იყო. მთავარი ფერადკანიანი სამსონი (ასე ერქვა) ყოველ დილით ვარჯიშობდა და შემდეგ ჭამდა განურჩევლად ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდებოდა. არ იცოდა, ბალანდის გარჩევა, მთავარი იყო, საკვები დაეღებოდა და დანარჩენს მნიშვნელობა არ ჰქონდა. არავისთან კონტაქტობდა, თუმცა პატიმრებმა იცოდნენ, რომ ყალბი ფულის გავრცელების გამო იხდიდა სასჯელს, მისჯილი ექვსი წლიდან, ოთხი უკვე მოხდელი ჰქონდა და ე.წ. უდო ეხებოდა, თუმცა არავინ „ახებდა“.

ერთ დღეს ზონაზე ჩოჩქოლი ატყდა. ზაფხულის პაპანაქება სიციხეში სამსონი შიშველი გავიდა ზონის ეზოში, იქ დამონტაჟებული ვიდეოთვალადან ერთ-ერთი აირჩია და იმის წინ დადგა. ახლოს მისვლა არავის უფიქრია, მთლიანად შიშველი გოლიათი სიციხეში სფინქსით იდგა.

„ამათი „საკამერნიკები“ მომიბოროთე აქ“, — გასცა ბრძანება მათემატიკურმა და ორ წუთში სამსონის კამერაში მსხდომი მის წინ ჩამწკრივდნენ.

„რა ხდება აქ? რა ჭირს ამას? მე რატომ არაფერი ვიცი? თუ პრობლემა აქვს, მე რატომ არ მითხარით?“ — კითხვები დააყარა მათემატიკურმა.

„არაფერი ვიცი. გუშინ გვთხოვა, ეგებ ერთი ბოთლი ზეთი ამომიტანოთ და ვუყიდეთ. რა ვიცი, რისთვის უნდა იყოს? კაცი წლებია ჩვენთან ზის, პირველად გვთხოვა რაღაც და უარი როგორ გვეთქვა? დილით გაიხადა, ეს ზეთი წაისვა და აქ გამოვიდა“, — დაასრულეს მოყოლა პატიმრებმა.

„ამას ცოტნე დადიანი არ აქვს ნაკითხული, თორემ თავს აყიდებდა ამით. შენ რას იტყვი?“ — მათემატიკურს სერიოზული სახით გახედა იქვე მდგომმა პატიმარმა №0578-მა.

„შენ ლადაობ და აგერ, რეჟიმი მოდის, ნინძა მოუძღვის (ნინძას პატიმრები რეჟიმის უფროსს, ლევან პაჭკორიას ეძახდნენ). სცემენ ამ უბედურს“, — ჩუმადა თქვა მათემატიკურმა.

№0578-მა შემოსასვლელისკენ გაიხედა, თვალი მოჭუტა და მშვიდად თქვა: „ვერ სცემენ. ჯერ ერთი, უცხო ქვეყნის მოქალაქეა და თან როგორი ქვეყნის... და მეორეც, ნინძას ხელში კამერა უჭირავს და არა მგონია, თან სცემოს, თან კამერით გადაიღოს. ამ ვიდეოთვალს დეპარტამენტიც აკონტროლებს, სავარაუდოდ, მათთვის სჭირდებათ ეს გადაღება და კიდევ კანადელებისთვის, როგორ კარგად ექცევიან უცხო ქვეყნის პატიმრებს. ნახე, თუ ხელი დაადო...“

პაჭკორია რამდენიმე წამში მოუხილოვდა სამსონს, შეათვალა, მერე ბადრავს უბრძანა, წამოიყვანეთო და კამერა ჩართო. ბადრავი მორიდებით მივიდა, ქართულად უთხრა, ნამოგვეყვიო, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო.

„ინგლისური რომელმა იცის?!“ — იკითხა პაჭკორიამ. „წესითა და რიგით, თქვენც უნდა იცოდეთ, პატივცემული, თანამდებობა და საქმე გაქვთ ისეთი. ჩვენ, გაუნათლებელ პატიმრებს, აბა, რა ინგლისური და კომპიუტერი მოგვეკითხება“, — ლომილით გახედა №0578-მა.

„აჰა, შენც აქ ხარ?! ამას როგორ „გამაზავდი“, აბა?! მოდი, უთარგმნე, ნამოგვეყვეს“, — უთხრა პაჭკორიამ.

„ბარემ ისიც მოთხარი, სად ნამოგვეყვეს, მკითხავს აუცილებლად. რაც უნდა იყოს, შიშველ კაცს რომ ეპატიჟები, უნდა უთხრა, რისთვის მიგყავს, სად მიგყავს, რას უპირებ... ასე არ არის?!“ — №0578-მა ახლა მათემატიკურს გახედა და იმანაც უხმოდ დაუქნია თავი.

„როდემდე იდგეს ასე, შიშველი, აბა, ამ სიციხეში?! თან ზეთი უსვია, დაინგება. ნამოვიდეს, ვაბანავებთ, ჩავაცმევთ, პრეტენზიებს მოვისმენთ, ხომ უნდა იცოდეთ, რა უნდა?!“ — დააკონკრეტა პაჭკორიამ. №0578-მა სიტყვა-სიტყვით უთარგმნა, რაც რეჟიმის უფროსმა თქვა და ისიც დასძინა, ამ კაცს არ ენდო, შეიძლება ტკბილი სიტყვით ნაგიყვანოს და მერე ცემში სული ამოგხადოსო.

სამსონმა, „უდო“ მეხება და თავისუფლება მინდაო, მხოლოდ ეს თქვა.

„რაო?!“ — დაინტერესდა პაჭკორიამ.

„რაო და „უდო“ მეხება, რატომ არ მიშვებენო, ამ ნაბიჭვრებს არსად გავყვებით... ახლა, ნაბიჭვრის ზუსტი ინგლისური შესატყვისი კი არ არსებობს, ქართველებს მდიდარი ენა გვაქვს ნამეტნავე, მაგრამ დაახლოებით ასე თქვა“, — გადაუთარგმნა №0578-მა.

„ნაბიჭვარი თვითონაა, ნამოეთროს უთხარი, არ მინდა, ბიჭებმა ხელი გაისვარონ“, — გამოაცხადა პაჭკორიამ.

„მოკლედ, ახლა ესენი გეცემიან და ძალით ნაგიყვანენ. თან გაგინებს უკვე ეს უფროსი და თუ გინდა, სანამ ნაგიყვანენ, ლა-ლათიანად შემოარტყი, მაინც არაფერს გეტყვიან, კანადელი ხარ. სამაგიეროდ, თუ ამას იზამ, ზეთს კი არა, ჩიტის რძეს არ მოგაკლვებენ აქაურები“, — უთხრა №0578-მა. სამსონს გაელი-მა, მერე კი პაჭკორიას გახედა და ჩუმადა თქვა, მაგიჟებ, უცხო ქვეყნის მოქალაქე, ცემში სულს ამომხდისო.

„რას იცინის?!“, — დაინტერესდა რეჟიმის უფროსი.

„ხელს როგორ მომიკიდებენ, სულ შიშველი ვარ და თუ მაინც დამაინც უნდათ ხელის მოკიდება, უფროსმა მომიკიდოს და კი იცის, სადაცო“, — სერიოზული სახით უთარგმნა №0578-მა.

პაჭკორიამ ბადრავს თვალით ანიშნა რაღაც. ჯერ მორიდებით მივიდნენ სამსონთან, მერე გაქონილ ხელებსა და ფეხებზე წაავლეს ხელი და ზონიდან გაიყვანეს. პაჭკორია კი ამ ყველაფერს კამერით იღებდა.

„მართლა აგინებდა ის ზანგი ნინძას?!“ — დაინტერესდა მათემატიკურმა.

„მართლა აგინებდა, ჩემო კეთილო, მართლა“, — გაუღიმა №0578-მა.

სამსონი ზონაზე სამი დღის შემდეგ დააბრუნეს. თავისი ფეხით მივიდა №0578-ის საკანში და ნარზე ჩამოჯდა.

„თარჯიმანი მომიყვანეს იქ და ის კაცი, უფროსიაო, რომ ამბობდა, მთელი ორი საათი მარტო იმას მეკითხებოდა, რა დაგიშვებ, რატომ მაგინებ?! არადა, არ მიგინებია და შენ უთარგმნიდი ალბათ არასწორად. ნუ გეშინია, არ მითქვამს, დუმილის უფლება გამოვიყენე“, — გაუღიმა სამსონმა.

„ჯერ ერთი, არაფრის მეშინია, მეორეც, რა „უდო“ აგიტყდა და საერთოდ, ვინ გითხრა, ასე ხდებოდა?! ურთიერთობა არავისთან გექვს თითქმის“, — დაინტერესდა №0578-მა.

„ჩემთან რომ წამლის გამყიდველი ზის, იმან მითხრა. ისე, იცი, რა ვერ გავიგე?! ჩვენთან წამლის გამყიდველი ზონაზე ღმერთია, თქვენთან კიდევ სხვაგვარადაა და რატომ?!“ — დაინტერესდა სამსონი.

„სხვადასხვა რელიგიაა, სამსონ და იმიტომ. ისე, წამლის გამყიდველს რომ აღმერთებ, კი უნდა მიხვდე, იდიოტიზმი რომ არის“, — აუხსნა №0578-მა.

„არა, ჩვენთან ყველაფერს ფული წყვეტს, ძმაო. ფული გექვს? წამლის კი არა, თუ გინდა, სამშობლოს გამყიდველი იყავი, მაინც მაგარი ხარ“, — დააკონკრეტა სამსონმა.

„ჰოდა, თუ ყველაფერს ფული წყვეტს, დაუკავშირდი შენებს, ცოტა გაიმეტონ, აქ ყალბი ფულს რომ ჭრიდი, კი გეყოლება ქართული მეგობრები, მიდგენ, მოდგენ, „უდო“-ს კომისიის წევრები გაიცნონ, რა იცი, რა ხდება. ისე, იმ „ბარიგამ“ ინგლისური თუ იცოდა, არ მეგონა. მარნეულელი აზერბაიჯანელი და ინგლისური ცოტა ვერ დავაკავშირე. თან ახალგაზრდაც არ არის, 50 წელზე მეტისაა“, — თავისთვის ჩაილაპარაკა №0578-მა.

„ინგლისური არ იცის, ფრანგულად მელაპარაკა“, — დაა-ზუსტა სამსონმა და კამერიდან გავიდა.

ორი თვის შემდეგ, სამსონს „უდო“ შეეხო და კანადაში გაემგზავრა. ფრანგულად მოსაუბრე „ბარიგამ“ კი... თურმე იმავ დანაშაულზე საფრანგეთის ციხე 3 წელი „ხება“.



თაღლითობის ბრალდებით გურიისპული კომპანიის დირექტორი დააკავეს

შს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, აშშ-ს საელჩოს უს-აფრთხოების დეპარტამენტსა და მთავარ პროკურატურასთან თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენების გზით, თაღლითობის ბრალდებით ტურისტული კომპანია „ჯინო თრეველის“ დირექტორი, 1981 წელს დაბადებული ნინო ს. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ნინო ს. მოქალაქეს 8100 აშშ დოლარსა და 1000 ევროს სანაცვლოდ აშშ-ს ოფიციალური ლოგოსა და რეკვიზიტების მქონე ბლანკზე დაბეჭდილ, ინგლისურ ენაზე შედგენილ ყალბ დოკუმენტებს უმზადებდა. აღნიშნულმა მოქალაქემ, რომელიც ყოველწლიური ლატარია diversity visa lottery (ე.წ. გრინ-ქარდის) გამარჯვებული იყო, ვიზა ვერ მიიღო მისი შეზღუდული რაოდენობის გამო და არ ჩაინიშნა კონსულთან მისი გასაუბრება. დაზარალებულმა დასახმარებლად ტურისტულ კომპანია „ჯინო თრეველის“ დირექტორს, ნინო ს-ს მიმართა. ეს უკანასკნელი, ყალბი დაპირებებით, თითქოსდა „გრინ-ქარდის“ აღდგენის მიზნით, აშშ-ში საამისო პროცედურების მოსაგვარებლად, ასევე ადვოკატის აშშ-ში გამგზავრებისა და მისი მომსახურებისთვის საჭირო თანხის სახით და ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენების საშუალებით, მოტყუებით 8100 აშშ დოლარსა და 1000 ევროს დაეუფლა, რის შედეგადაც დაზარალებულ მოქალაქეს დიდი ოდენობით ზიანი მიადგინა.


სამართალდამცველებმა ნინო ს-ს პირადი, საცხოვრებელი ბინისა და ტურისტული კომპანია „ჯინო თრეველის“ ოფისის ჩხრეკის შედეგად სხვადასხვა ყალბი დოკუმენტი, მოქალაქეთა პასპორტები, სხვადასხვა ორგანიზაციის ბეჭდები, კომპიუტერული ტექნიკა და 1000 აშშ დოლარი ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენების გზით, თაღლითობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით).

მომხდარის გამო, მოქალაქეები ოფიციალური განცხადებით გააფრთხილა აშშ-ს საელჩომ. საქართველოში აშშ-ს კონსულის, კრისტა პეროზოს განმარტებით, სავიზო განაცხადების პროცესში დიპლომატიურ უწყებას შუამავლები არ ჰყავს და არც ტურისტულ სააგენტოებთან თანამშრომლობს. მოქალაქეებს მოუწოდა, მსგავსი ფაქტების დაფიქსირების შემთხვევაში, შს სამინისტროს ან აშშ-ს საელჩოს მიმართონ. აშშ-ს საელჩოს უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯეისონ ფიზნერმა შს-ს და თბილისის პროკურატურას მჭიდრო ურთიერთობისთვის მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნულ უწყებებთან ნარმატებული თანამშრომლობა გაგრძელდება.

„ვერსიანიუსი“

შს-მ 11 შეკვრა პეროინი აპოილო



შს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1974 წელს დაბადებული, ნარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნა-სამართლევი ლელა ლ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის ბრალდებით ფოთში დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას 1 შეკვრად დაფასოებული, ხოლო მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 10 შეკვრა ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებულია 2,0872 გრ ნარკოტიკული ნივთიერება, რომელიც 0,87566 გრ პეროინს შეიცავს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“



რუსუდან ხავეთაძე

31 წლის ელიზაბეტ ჰოლმსი აშშ-ში ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერია, რომელსაც ასეც ეძახიან — „სტივ ჯობსი კაბაში“.

გიორგიანოლოგიით ნაშრომი უფლი

ფარმაკოლოგიური კომპანია Theranons-ის დამფუძნებლისა და მფლობელის, ელიზაბეტ ჰოლმსის ქონება 9 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.

არაჩვეულებრივი გომონა ჩვეულებრივი ოჯახიდან

ელიზაბეტ ჰოლმსი 1984 წლის 3 თებერვალს, ვაშინგტონში, მშველსა და აშშ-ს კონგრესის თანამშრომლის ოჯახში დაიბადა.

ყველაფერი თავად გააკეთა

მშობლებმა ნება დართეს, ბიზნესის „სტარტაპში“ კოლეჯისთვის მოგროვილი ფული ჩაედო.

31 წლის მილიარდერის უსწოები პორტრეტი „სტივ ჯობსი კაბაში“ — დაუჯერებელი ფაქტები ედიზაბეტ ჰოლმსის ცხოვრებიდან

ვლევებს ნაქირავებ ლაბორატორიაში, ეძებდა ინვესტორებს... რადგან „სტარტაპის“ პოტენციური თვალსაჩინო იყო (სისხლის ანალიზს რეგულარულად ბევრი ადამიანი იკეთებს).

Theranons 2013 წელს დაარსდა. მომდევნო რამდენიმე წელი ელიზაბეტი, დედამისის თქმით, დაულაღავედ მუშაობდა და შეეძლო, დიდი ხნის განმავლობაში არ დაეტოვებინა ლაბორატორია ან არ ამდგარიყო სამუშაო მაგიდიდან.

პირველად, Theranons-ის გამოკვლევების მიღწევები 2013 წელს გამოქვეყნდა. მაშინ კომპანიამ ამერიკის შეერთებული შტატების აფთიაქების ყველაზე მსხვილ ქსელ Walgreens-თან თანამშრომლობის შესახებ განაცხადა.

მას პაივის სხვაზე

...სხვანაირად ვერ აიხსნება ის, რომ Theranons-ის დირექტორთა საბჭოს წევრია ერთდროულად აშშ-ს ორი ყოფილი

სახელმწიფო მდივანი: ჰენრი კესენჯერი და ჯორჯ შულცი. კოლეგა ფარმაცევტები და ბიოტექნოლოგები ჰოლმსს აღწერენ, როგორც გენიალურ ადამიანს და ამბობენ, რომ ის უფრო მეტად ვინაა, ვიდრე ბიზნესმენი.

ჯობსის გავლენა

ამბობენ, რომ ელიზაბეტს კაბინეტის კედელზე სტივ ჯობსის ბიოგრაფია აქვს გაკრული. მისი სტილიც Apple-ის დამფუძნებლისაა ჰვავს: მოკრძალებული გარდერობი შავ ტონში, საყვარელი სამოსი — შავსაყლოიანი სვითერი.

პაპარა სისუსაზე დაუქანებული კონკურენტული უპირატესობა

ჰოლმსმა ინტერვიუში აღიარა, ასეთი ტექნოლოგიის შესაქმნელად ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ძალიან მუშინია ნემსის და სისხლის ანალიზის აღების პროცედურა ყოველთვის მზაფრავდაო.



ფოკოლადი - აფროდიტი



შოკოლადის შვეიცარელმა მწარმოებლებმა ახალი ტექნოლოგიით დამზადებული ტკბილეულის შექმნაზე დაასრულეს მუშაობა — მეთოდი საშუალებას მისცემს მწარმოებლებს, პროდუქტში სასარგებლო ნივთიერებების შემცველობა გაზარდონ.

საქმე ისაა, რომ შავი შოკოლადის დამზადებისას, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, არსებითად მცირდება ფლავანოლების რაოდენობა, რძიანში კი ისინი საერთოდ არ არსებობს.

წლის საუკეთესო პროფესიები

CareerCast-ის სპეციალისტებმა 2015 წლის საკუთესო პროფესიების რეიტინგი შეადგინეს შემოსავლის, კარიერული ზრდის შესაძლებლობების, სტრესის ალბათობის, სამუშაო გარემოს მიმზიდველობისა და ფიზიკური მოთხოვნების გათვალისწინებით.



პროფესიად უზრუნველსაქმობს მიიჩნევა, შემდეგია ტყის მჭრელის, დაბალი ჩინის სამხედრო მოსამსახურის, შეფ-ზარეულის პროფესიები.



ადვილი

სტანდარტი

რთული

ექსპერტი

	7						1	9
3			6	9			8	
							5	4
1	6		7					
5		3		6		4		8
				4		6	1	
7	5							
	9			2	8			5
4	3						2	

6	5				2	1		
				7			5	2
			1		5			
7							6	
1		6		9		3		5
	4							8
			5		9			
4	3			1				
		5	3				2	4

			8				1	9
				7	4			
2				3			8	7
		4			6			
1	8						4	3
			2			8		
8	7			9				4
		9	7					
4	6				1			

					7	2		9
3			8	6	7			
						4		
2		1						
6	4		1		3		2	7
						4		6
	1							
		4	8	9				5
5	2	6						

სიცოცხლის ხანგრძლიობას ტესტით დაადგენენ

ნისლიან ალბიონზე, 400 გირვანქა სტერლინგად შეიძლება თქვენი სიცოცხლის ხანგრძლიობას. ახალი ტესტით გაარკვევთ, რა დაავადებები შეიძლება განვითარდეს და რა მდგომარეობაშია თქვენი ტელომერები, რომლის სიგრძეც განსაზღვრავს ადამიანის ბიოლოგიურ ასაკს ანუ დაბერების ინტენსივობასა და ორგანიზმის ფიზიკური განვითარების ხარისხს. სწორედ ტელომერების სიგრძით შეიძლება ვინმეს სწარმეტყველოთ ადამიანის გარდაცვალების სავარაუდო თარიღი.



მანიკური გაქირავებით



ნისლიანი ალბიონის მკვიდრ ქალბატონებს უჩვეულო სერვისს — ფრჩხილის ლაკისა და სხვა კოსმეტიკური საშუალებების ქირაობას სთავაზობენ, ხოლო მომსახურების ფასი, რომლის ავტორიც კომპანია Coloristiq-ია, 14,49 გირვანქა სტერლინგია (დაახლოებით 23 დოლარი) თვეში. ფირმის დამფუძნებლები იმედოვნებენ, რომ ეს სიახლე ქალებს საშუალებას მისცემს, რეგულარულად დაზოგონ თანხა ფრჩხილის კოსმეტიკასა და მანიკურზე. სუსტი სქესის წარმომადგენლებისთვის კი საკმაოდ მრავალფეროვანი არჩევანია და ერთი თვის განმავლობაში სამი „კოლოფის“ ქირაობა შეუძლიათ ბრედნისა თუ ფერის შერჩევით. როგორც კომპანიის იდეოლოგები აცხადებენ, ფრჩხილის ლაკის „კოლექტიური ფლორა“ უსაფრთხო კლიენტებისთვის — ამ კოსმეტიკური საშუალებების შემადგენლობა გამორიცხავს ბაქტერიებისა თუ მიკრობების ერთი ადამიანიდან მეორეზე გადატანას.

მამაცხვენისთვის მთავარი გარეგნობაა

ძლიერი სქესის წარმომადგენელთა უმრავლესობა, პარტნიორის არჩევისას, ყურადღებას უპირველესად ქალის გარეგნობას აქცევს, — ეს ფაქტია და ამაზე აღარავინ დავობს, თუმცა მკვლევარები დღემდე დარწმუნებით ვერ ამბობდნენ, პოტენციური კავალერისთვის რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი — ქალის მკერდი, ფეხები, თმის ფერი თუ ალნაგობა. მონპელიეს ევოლუციის ინსტიტუტის სწავლულები ცოტა ხნის წინ სრულიად მოულოდნელ დასკვნამდე მივიდნენ — მამაკაცი უფრო ხშირად იმ ქალს ირჩევს, რომელიც გარეგნულად ნააგავს. ფრანგი მკვლევარები, საკუთარ ექსპერიმენტებზე დაყრდნობით აცხადებენ, რომ მიმზიდველად მიაჩნიათ სუსტი სქესის ის წარმომადგენლები, რომელთაც ისეთივე თმის ფერი, თვალები და ტუჩის სისქე აქვთ, როგორც თავად. დიდ როლს ასრულებს თურმე ნიკაპზე ჩალრმავება — კაცებისთვის მნიშვნელოვანია, რჩეულს მათივე მსგავსი სახის ნაკვეთი ჰქონდეს. თუმცა, ალსანიშნავია, რომ მთავარი ფაქტორი მაინც საერთო მსგავსებაა და არა კონკრეტული ნაკვეთი. ჩვენ განვიცდით მიზიდულობას ჩვენივე მსგავსი ადამიანების მიმართ, — აღნიშნავენ მკვლევარები. სხვათა შორის, ეს პრინციპი ქალებთან მიმართებაში არ მოქმედებს. შეიძლება დაუშვათ, რომ ქალებსაც იზიდავს მათივე მსგავსი სახე, მაგრამ გარეგნობა უფრო მამაკაცებისთვისაა მნიშვნელოვანი, ქალები კი მეტ ყურადღებას პიროვნულ თვისებებსა და სოციალურ კუთვნილებას ანიჭებენ.



წინა ნომერში გასული სკანდორღისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

1	9	5	8	4	6	7	3	2
8	4	3	7	5	2	1	9	6
2	7	6	3	1	9	8	5	4
4	5	2	1	7	8	9	6	3
9	3	1	6	2	5	4	7	8
7	6	8	9	3	4	5	2	1
6	2	4	5	9	1	3	8	7
5	1	7	2	8	3	6	4	9
3	8	9	4	6	7	2	1	5

სტანდარტი

6	5	4	9	3	2	1	8	7
7	3	1	4	8	5	2	6	9
2	8	9	6	1	7	3	5	4
5	1	6	7	4	8	9	3	2
4	7	2	5	9	3	8	1	6
8	9	3	2	6	1	7	4	5
9	6	8	1	7	4	5	2	3
3	2	7	8	5	6	4	9	1
1	4	5	3	2	9	6	7	8

მე-10 გვერდი: 1. სტადიონი; 2. ტრაპი; 3. დაირა; 4. ოპეკი; 5. ავგაროზი; 6. ვენტლატორი; 7. „ავეო“; 8. ოსვენციმი; 9. პარიტეტი; 10. ნიზამი; 11. თელა; 12. შაითანი; 13. ინტერვიუ; 14. ამტი; 15. არე; 16. ნუნა; 17. აბულაძე; 18. აია; 19. ბაზალეთი; 20. ანატოლია; 21. თხა; 22. შტილი; 23. ცრემლი; 24. ოტია; 25. ენგური; 26. ლიმა; 27. ბანა; 28. არსენა; 29. ლუისი; 30. ფესტა; 31. აუტი; 32. „ნივა“; 33. საათი; 34. ორბი; 35. ძუ; 36. ავჭალა; 37. დროგი; 38. მითი; 39. იდილია; 40. ალოე; 41. სეტი; 42. ფონ; 43. ბუა; 44. გლასე; 45. მი; 46. რუკა; 47. კატაი; 48. ფიბა; 49. პრაია; 50. რუალ; 51. ილი; 52. სინაი; 53. ლია; 54. ბორდო; 55. უპე; 56. ბადრო; 57. გოჭი; 58. გირაო; 59. ბერსაბე; 60. იონჯა; 61. პაპაია; 62. კამიუ; 63. კივი. მე-12 გვერდი: 1. დირიჟაბლი; 2. კორიფე; 3. დაცანი; 4. რეციდივი; 5. ჟოლო; 6. კანავერალი; 7. რაფინადი; 8. ფაზა; 9. ანი; 10. ისაკაძე; 11. ლაციცი; 12. ნაფაზი; 13. ატამანი; 14. ახალუხი; 15. ოდინი; 16. ხატა; 17. ეენა; 18. ავე; 19. ემისია; 20. ლომი; 21. რადა; 22. კიკინი; 23. მეძავი; 24. ნემო; 25. ვოლანი; 26. ირიტი; 27. ხონი; 28. ხელისგული; 29. ირინა შეიკი; 30. გოსტაშაბიშვილი; 31. ური; 32. მაკლაი; 33. აკირა; 34. ოსპი; 35. არინა; 36. კალმარი; 37. მენორა; 38. ლირიკა; 39. ნიკელი; 40. ნამი; 41. სტაიერი; 42. ულანოვა; 43. რა; 44. ალადასტური; 45. ბერბიჭა; 46. აკმე; 47. მინა; 48. რერიხი; 49. შვაბია; 50. ვისი; 51. მტილი; 52. ოპაიო; 53. ანო; 54. შიო; 55. „ბორუსია“; 56. ქალიკონი; 57. ბივა; 58. ლეიბი; 59. ელვისი; 60. ჰანოი; 61. მაკრელი; 62. ელია; 63. რიეზი; 64. დაუნი; 65. სოკერი; 66. ბიზე; 67. აშკი; 68. აპია; 69. უშუ; 70. ზედაშე; 71. ილორი; 72. „აეკი“; 73. რტო; 74. იო; 75. დაფნისი; 76. „ლაკალუტი“; 77. დუ; 78. ფრონე; 79. სირი; 80. იდიში; 81. კლიპი.

რთული

3	4	5	7	9	2	8	6	1
2	1	9	8	6	5	7	4	3
6	8	7	4	3	1	2	5	9
4	5	3	1	8	9	6	2	7
1	6	2	5	7	4	3	9	8
9	7	8	3	2	6	5	1	4
5	3	1	6	4	8	9	7	2
8	2	6	9	1	7	4	3	5
7	9	4	2	5	3	1	8	6

ექსპერტი

8	9	7	6	1	4	2	3	5
6	5	4	9	3	2	1	8	7
3	2	1	8	7	5	6	4	9
5	8	6	4	9	7	3	2	1
1	7	3	5	2	8	9	6	4
9	4	2	1	6	3	5	7	8
2	6	9	7	4	1	8	5	3
7	3	8	2	5	9	4	1	6
4	1	5	3	8	6	7	9	2

